



დანართი №5

**ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შესახებ
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა
(სსიპ დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის სოფელ ზემო მაჩხაანის საჯარო სკოლა)**

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე: მადონა მუმლაძე

წევრები:

მარიამ იაშვილი -ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, წევრი;

მარინე სეხნიაშვილი - საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი;

მაია გოგოლაძე - საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი;

მარგარიტა ჯიქია - უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი, წევრი;

ლამზირა აფაქიძე -ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი, წევრი;

ლია ნადირაძე -ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი, წევრი;

ნათია ქოქუაშვილი -სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი, წევრი;

ლელა ფანოზიშვილი -მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი, წევრი;

თამარ ზედგენიძე - სპორტის საგნობრივი ექსპერტი, წევრი;

ეკატერინე მაკარიძე -ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი, წევრი

ნაწილი I. შესავალი

i. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

ინფორმაცია დაწესებულების შესახებ		
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება		დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის ზემო მაჩხაანის საჯარო სკოლა
ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა		საჯარო სამართლის იურიდიული პირი
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების (გადასახადის გადამხდელის) საიდენტიფიკაციო კოდი		228525584

ii. საკონტაქტო ინფორმაცია

საკონტაქტო ინფორმაცია		
მუნიციპალიტეტი (სოფელი/დაბა/ქალაქი)		დედოფლისწყარო
ფაქტობრივი მისამართი		დედოფლისწყაროს რაიონი, სოფელი ზემო მაჩხაანი, სოფელი მირზაანი
საფოსტო ინდექსი		1605
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ვებ-გვერდი		https://bit.ly/3xxzx8p
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ელ-ფოსტა		zemomachkhaani@mes.gov.ge
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ტელეფონის ნომერი		577387617

iii. ინფორმაცია ვიზიტის შესახებ

ვიზიტის საფუძველი (ვიზიტის ბრძანების ნომერი და თარიღი)	სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის 2024 წლის 13 აგვისტოს ბრძანება mes 0 24 0000970481
ვიზიტის პერიოდი (თარიღი)	09, 10 სექტემბერი 2024 წელი

IV. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამების შესახებ

„ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 32-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, გთხოვთ, ასახოთ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა/პროგრამები, რომლის განხორციელებაც სურს სკოლას.

n	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა	სასწავლო მიზნებისთვის გამოსაყენებელი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილი (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის/ქუჩის და თითოეულ მისამართზე შენობა-ნაგებობების რაოდენობის მითითებით)
	დაწყებითი საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამა	დაწყებითი	ქართული	1.ძირითადი კორპუსი დედოფლისწყაროს რაიონი, სოფელი ზემო მაჩხაანი, 1 სასწავლო კორპუსი, 2.დედოფლისწყაროს რაიონი სოფელი მირზაანი, 1 სასწავლო კორპუსი.



	საბაზო საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამა	საბაზო	ქართული	1.ძირითადი კორპუსი დედოფლისწყაროს რაიონი, სოფელი ზემო მაჩხაანი, 1 სასწავლო კორპუსი, 2.დედოფლისწყაროს რაიონი სოფელი მირზაანი. 1 სასწავლო კორპუსი
	საშუალო საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამა	საშუალო	ქართული	1.ძირითადი კორპუსი დედოფლისწყაროს რაიონი, სოფელი ზემო მაჩხაანი, 1 სასწავლო კორპუსი, 2.დედოფლისწყაროს რაიონი სოფელი მირზაანი. 1 სასწავლო კორპუსი

v. შეფასების პროცესის საერთო მიმოხილვა

მოკლედ აღწერეთ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შეფასებასთან დაკავშირებული ძირითადი საკითხები.

მიმდინარე წლის 09 და 10 სექტემბერს სსიპ - დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის სოფელ ზემო მაჩხაანის საჯარო სკოლაში შედგა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტების ჯგუფის ვიზიტი. ვიზიტის ფარგლებში საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულებით“ განსაზღვრული ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტის შესრულების შემოწმება განხორციელდა.

ექსპერტების ჯგუფმა ვიზიტის ეფექტიანი წარმართვისათვის შეიმუშავა დღის წესრიგი და შესამოწმებელ დოკუმენტთა სავარაუდო ნუსხა, რომელიც დაწესებულებას გადაეგზავნა ვიზიტამდე. ექსპერტთა ჯგუფის შემადგენლობა განისაზღვრა: ორი ზოგადი განათლების ხარისხის ექსპერტით (ადგილზე ვიზიტი), რომელთაგან ერთი თავმჯდომარეობდა ჯგუფს და საგნობრივი ჯგუფის ექსპერტებს.

დაწესებულებაში ვიზიტის დროს ექსპერტები გაესაუბრნენ სკოლის წარმომადგენლებს - სკოლის დირექტორს, საქმისმწარმოებელს, სკოლის ბიბლიოთეკარს, ექიმს, ბუღალტერს, სპეციალურ მასწავლებლებს. ვიზიტი განხორციელდა პირისპირ ფორმატში, ხოლო ყველა საგნობრივ ექსპერტს დისტანციურ რეჟიმში ჰქონდათ შესაძლებლობა ჩაეტარებინათ ინტერვიუები მასწავლებლებთან. ვიზიტის მე-2 დღესაც ჩატარდა საგნობრივი ექსპერტების შემაჯამებელი შეხვედრა, სადაც შეაჯერეს მიღებული ინფორმაციები.

ვიზიტის დროს პროცესში ჩართულმა საგნობრივიმა ექსპერტებმა, რომლებიც მონაწილეობდა შესაბამისი საგნების მასწავლებლებთან ინტერვიუებში, დამატებით გამოითხოვეს ის დოკუმენტები, რომლებიც საჭირო იყო სკოლისთვის ავტორიზაციის მეორე სტანდარტის დასაკმაყოფილებლად. 09 და 10 სექტემბერს საგნობრივ ექსპერტებთან შეხვედრას დაესწრო სკოლის ყველა მასწავლებელი, წარმართა საქმიანი ინტერვიუ, ექსპერტებმა მისცეს რჩევები და გამოითხოვეს დოკუმენტაცია, რომელიც კათედრის წარმომადგენლებმა ვიზიტის დასრულებამდე მიაწოდეს. ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტმა მონაწილეობა მიიღო საგნობრივი კურიკულუმის შეფასების ფორმის შედგენაში და დაეთანხმა საგნობრივი ექსპერტების შეფასებებს.

ვიზიტის დროს პროცესში ჩართული იყო დაწყებითის საგნობრივი ექსპერტიც, რომელიც მონაწილეობდა შესაბამისი საგნების მასწავლებლებთან ინტერვიუებში. დამატებით გამოითხოვა ის დოკუმენტები, რომლებიც საჭირო იყო სკოლისთვის ავტორიზაციის მეორე სტანდარტის დასაკმაყოფილებლად დაწყებით საფეხურზე. დაესწრო შეხვედრას და წარმართა ინტერვიუ დაწყებითი საფეხურის პედაგოგებთან, მისცა რჩევები და კიდევ გამოითხოვა დოკუმენტაცია, რომელიც კათედრის წარმომადგენლებმა ვიზიტის დასრულებამდე მიაწოდეს. ექსპერტმა მონაწილეობა მიიღო საგნობრივი კურიკულუმის შეფასების ფორმის შედგენაში და დაეთანხმა საგნობრივი ექსპერტების შეფასებებს.

ვიზიტი წარმართა თანამშრომლობით გარემოში, დაწესებულებამ ხელი შეუწყო ექსპერტების საქმიანობის განხორციელებას და უზრუნველყო ყველა საჭირო მტკიცებულების წარმოდგენა. მასწავლებელთა გუნდი და ადმინისტრაცია გამოირჩეოდა მაღალი მიმდებლობით. ექსპერტების მიერ გაიცა რჩევები, წარმოების ფარგლებში შესწავლილი დოკუმენტების ანალიზისა და ინტერვიუების შედეგად ჩამოყალიბებული მიგნებები გაცნობილი იქნა დაწესებულების წარმომადგენლებისთვის ვიზიტის დასასრულს.

vi. ინფორმაცია მოსწავლეების შესახებ

ცხრილი არ ივსება პირველად ავტორიზაციაზე.

წინა ავტორიზაციის საბჭოს მიერ განსაზღვრული მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა	აქტიურ მოსწავლეთა რაოდენობა	ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მიერ მოთხოვნილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა

vii. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

გთხოვთ, ასახოთ საკითხები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების გამორჩეულ პრაქტიკაზე მეტყველებს (ასეთის არსებობის შემთხვევაში).



ნაწილი ii: სტანდარტების შეფასება, ხარვეზები, რეკომენდაციები და რჩევები

i. ავტორიზაციის i, iii და iv სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

სტანდარტი/კომპონენტი	ექსპერტთა ჯგუფის შეფასება (მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)
სტანდარტი 1 სკოლის ფილოსოფია	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 1.1 სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 1.2 სკოლის დაგეგმვა და განვითარება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
სტანდარტი 3 სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☒ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.1 პერსონალის მართვა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.2 პერსონალის განვითარება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება



	☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.3 პროცესების მართვა	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.4 ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☒ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.5 მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☒ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.6 საინფორმაციო რესურსები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.7 ფინანსური რესურსები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
სტანდარტი 4 მოსწავლეთა მხარდაჭერა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 4.1 მოსწავლეთა უფლებების დაცვა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება



		☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 4.2		☒ შეესაბამება
მოსწავლეთა	მხარდაჭერის	☐ მეტწილად შეესაბამება
ლონისძიებები		☐ ნაწილობრივ შეესაბამება
		☐ არ შეესაბამება

ii. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილი მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასება

მოსწავლეთა რაოდენობა: ----- 340	ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება ☒	აღწერა (იმ შემთხვევაში, თუ ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილ მოსწავლეთა ზღვრულ რაოდენობას)
	ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ☐	

iii. ექსპერტთა ჯგუფის შეფასება ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამასთან/პროგრამებთან მიმართებით.

ექსპერტთა ჯგუფმა სრულ და მეტწილ შესაბამისად შეაფასა შემდეგი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა/პროგრამები:

ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა - შეესაბამება;

ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა - მეტწილად შეესაბამება;

ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა - მეტწილად შეესაბამება;

iv. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ხარვეზი, რომელმაც გამოიწვია სტანდარტის კომპონენტის „შეუსაბამოდ“ შეფასება და მეორე სტანდარტის „ნაწილობრივ შესაბამისობა“.



სტანდარტი n1	სკოლის ფილოსოფია	ხარვეზი
<i>ინდიკატორი n</i>		
სტანდარტი n3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	ხარვეზი
<i>ინდიკატორი n</i>		
სტანდარტი n4	მოსწავლეთა მხარდაჭერა	ხარვეზი
<i>ინდიკატორი n</i>		

სტანდარტი n2	სასკოლო კურიკულუმი	ხარვეზი
	საბაზო საფეხური	
	საშუალო საფეხური	

v. სტანდარტებთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ის რეკომენდაცია, რომელიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას მიეცა სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად (მეტწილი ან/და ნაწილობრივი შესაბამისობა).¹

სტანდარტი n1	სკოლის ფილოსოფია	სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია
ინდიკატორი n....		
ინდიკატორი 1.2.1.2.	სტრატეგიული გეგმა არის შვიდწლიანი, ციკლური და ეფუძნება სკოლის მისიას, ხედვას და ღირებულებებს (ფილოსოფიას). ის შეიცავს მისიასთან თავსებად მიზნებს და მიზნების შესაბამის ამოცანებს;	სკოლას ეძლევა რეკომენდაცია უზრუნველყოს შვიდწლიანი სტრატეგიულ გეგმის შემუშავება შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით განსაზღვრულ ვადებში 20.11.2024 წლამდე. სკოლამ წარმოადგინა სკოლის განვითარების შვიდწლიანი სტრატეგიული გეგმა, 12.11.2024 წელს.
ინდიკატორი 1.2.1.4.	სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და შესაბამისი რესურსები, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტურია.	სკოლას ეძლევა რეკომენდაცია უზრუნველყოს ერთწლიანი სამოქმედო გეგმის შემუშავება, რომელიც დაეფუძნება შვიდწლიან გეგმას და რომელშიც მოცემული იქნება ინდიკატორით განსაზღვრული ყველა კომპონენტი შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით განსაზღვრულ ვადებში 20.12.2024 წლამდე.
სტანდარტი n3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია
ინდიკატორი 3.3.1.1.	სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვა ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის შესაბამისად და ეფუძნება პროცესულ	სკოლას ეძლევა რეკომენდაცია ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის დოკუმენტის შემუშავება შესაბამისობის გეგმით გათვალისწინებულ ვადაში 31.11.2024 წლამდე

¹ გარდა მეორე სტანდარტის ნაწილობრივი შესაბამისობისა.



	მიდგომასა და ხარისხის უზრუნველყოფის ციკლს;	
ინდიკატორი n. 3.3.1.2	იდენტიფიცირებულია და აღწერილია სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები;	სკოლას ეძლევა რეკომენდაცია უზრუნველყოს საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი, ძირითადი დამხმარე პროცესების აღმწერი დოკუმენტის შემუშავება შესაბამისობის გეგმით გათვალისწინებულ ვადაში 31.11.2024 წლამდე.
ინდიკატორი 3.4.1.1.	სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, რისთვისაც არსებობს: ფიზიკური უსაფრთხოების დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმი, უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, სკოლის მიმართუა უფლებამოსილ უწყებასთან შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ, უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა ან/და სსიპ - საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს მიერ გაცემული წერილობითი დასტური (სახელმწიფოს მიერ ან მისი მონაწილეობით დაფუძნებული ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შემთხვევაში);	სკოლას ეძლევა რეკომენდაცია უზრუნველყოს შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნის მოპოვება შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით განსაზღვრულ ვადებში 08.07.2026 წლამდე.



ინდიკატორი 3.5.1.1.	სკოლა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო საქმიანობისთვის შესაბამის ინფრასტრუქტურასა და მატერიალურ რესურსს მინიმუმ ავტორიზაციის ვადითა და დადგენილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;	სკოლას ეძლევა რეკომენდაცია უზრუნველყოს საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოდან ამონაწერის მოპოვება შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადაში 08.07.2026 წლამდე
სტანდარტი n4	მოსწავლეთა მხარდაჭერა	სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია
ინდიკატორი n....		

სტანდარტი n2	სასკოლო კურიკულუმი საბაზო საფეხური	სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია
ინდიკატორი n2.1.2.3.	კურიკულუმით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას;	სკოლას ეძლევა რეკომენდაცია, უზრუნველყოს საბუნებისმეტყველო კაბინეტში სველი წერტილისა და ამწოვი კარადის დამონტაჟება შესაბამისობის გეგმით გათვალისწინებულ ვადაში 08. 07.2025 წლამდე
ინდიკატორი 2.2.1.3	შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი;	საზოგადოებრივი მეცნიერებების ექსპერტის განმარტებით, საგნობრივი კურიკულუმი უნდა მოიცავდეს განმავითარებელ და განმსაზღვრელ შეფასებებს, რომელიც გამომდინარეობს ცნებებიდან და ასახავს მოსწავლის შედეგებს მიზანთან შესაბამისობაში. სკოლამ წარმოადგინა კორექტირებული შესაბამისობის გეგმა, და ხარვეზის გათვალისწინება მოხდება 13.04. 2025 წლამდე.

სტანდარტი N2	სასკოლო კურიკულუმი საშუალო საფეხური	სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია
ინდიკატორი N2.2.1.3	შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი;	საზოგადოებრივი მეცნიერებების ექსპერტის განმარტებით, საგნობრივი კურიკულუმი უნდა მოიცავდეს განმავითარებელ და განმსაზღვრელ შეფასებრივ რუბრიკებს, რომელიც გამომდინარეობს ცნებებიდან და ასახავს მოსწავლის შედეგებს მიზანთან შესაბამისობაში. სკოლამ წარმოადგინა კორექტირებული შესაბამისობის გეგმა, და ხარვეზის გათვალისწინება მოხდება 13.04. 2025 წლამდე.
ინდიკატორი N2.1.2.3.	კურიკულუმით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას;	სკოლას ეძლევა რეკომენდაცია, უზრუნველყოს საბუნებისმეტყველო კაბინეტში სველი წერტილისა და ამწოვი კარადის დამონტაჟება შესაბამისობის გეგმით გათვალისწინებულ ვადაში 08. 07.2025 წლამდე

vi. რჩევა

გთხოვთ, გადმოიტანოთ არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტი n1	სკოლის ფილოსოფია	რჩევა
ინდიკატორი n....		
სტანდარტი n3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	რჩევა
ინდიკატორი n3.1.2.1	პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების	სკოლამ საჭიროა შექმნას ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა დოკუმენტი, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.



	მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად;	
ინდიკატორი n3.1.2.6.	სკოლას აქვს წარმატებული გამოცდილების აღიარებისა და გაზიარების მექანიზმი.	სასურველია წარმატებული გამოცდილების გაზიარების შემთხვევებში დეტალურად აისახოს წერილობითი სახით მასწავლებელთა სამუშაო გეგმების შეხვედრების მასალებში (მაგალითად საგნობრივი კათედრის ხარისხის მართვის გეგმის, სასწავლო პროექტის განმახორციელებელ გეგმის და სხვა) და სკოლამ უფრო მეტად გამოიყენოს მასწავლებელთა შორის მაღალი თანამშრომლობითი კულტურის დამკვიდრებული პრაქტიკა.
ინდიკატორი n3.2.1.3.	სკოლა ხელს უწყობს პერსონალის კარიერულ ზრდას;	სასურველია სკოლამ შეიმუშაოს მასწავლებლის გარდა სხვა პერსონალის შეფასების მექანიზმი.
ინდიკატორი n3.2.1.4.	სკოლა უზრუნველყოფს თანამშრომლების ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან;	სასურველია სკოლამ შეიმუშაოს პერსონალის მართვის პოლიტიკის განმსაზღვრელი დოკუმენტი.
ინდიკატორი n3.3.1.1	სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვა ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის შესაბამისად და ეფუძნება პროცესულ მიდგომასა და ხარისხის უზრუნველყოფის ციკლს;	სასწავლო პროცესის ხარისხის უზრუნველყოფის მიზნით სკოლამ შექმნა ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის დოკუმენტი, რომლის საფუძველზეც მოხდება საბოლოო შეფასება და ანალიზი, სტანდარტებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით, სკოლის ფილოსოფიის შესაბამისად.
ინდიკატორი n3.3.1.2.	იდენტიფიცირებულია და აღწერილია სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები;	სკოლამ უნდა წარმოსადგინოს საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები აღმწერი სრულყოფილი დოკუმენტი, შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადაში.
ინდიკატორი n3.5.1.2.	დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი	სოფელ მირზაანის კორპუსისთვის მოგვარდეს შშმ პირთათვის მეორე სართულზე შეღწევის პრობლემა.



	ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის;	
სტანდარტი n4	მოსწავლეთა მხარდაჭერა	რჩევა
ინდიკატორი n....		

სტანდარტი n2	სასკოლო კურიკულუმი (ასახეთ კურიკულუმის დასახელება)	რჩევა
	დაწყებითი საფეხური	სახელმწიფო ენა
ინდიკატორი n 2.1.2.1	შემუშავებული კურიკულუმი წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას;	სასურველია კურიკულუმის ჩარჩოებში, სტანდარტის შესაბამისად, სრულად იყოს შევსებული ყველა სასწავლო თემა, სამიზნე ცნება, ტექსტი და საკითხები, ასევე სასწავლო რესურსები (სახელმძღვანელოს გვერდები) და დამატებით რესურსებში მითითებული ელექტრონული ლინკები.
ინდიკატორი 2.1.2.1	1. შემუშავებული კურიკულუმი წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას;	სასურველია, საგნობრივ კურიკულუმში ჩაიწეროს მხოლოდ ისეთი ტიპის კომპლექსური დავალებები, რომლის რეალურად განხორციელების შესაძლებლობაც აქვს სკოლას;
ინდიკატორი 2.1.2.2	კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს;	
ინდიკატორი 2.1.2.2	კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს;	სასურველია, საგნობრივ კურიკულუმში, ჩანდეს ყველა ის აქტივობა რასაც ახორციელებს სკოლა დაწყებით საფეხურზე. მაგ: ინტეგრირებული გაკვეთილები, კლუბი „წიგნიერი“-ს ფარგლებში განხორციელებული აქტივობები.



ინდიკატორი 2.1.2.3	კურიკულუმით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას;	დაწყებით საფეხურზე, სასკოლო კურიკულუმებში, რესურსების ველში მიეთითოს სახელმძღვანელოდან შესაბამისი ტექსტის სახელწოდება და გვერდები, ასევე დამატებით ელექტრონულ რესურსებს დაერთოს აღწერილობა და ჰიპერლინკის სახით სწორად ჩაისვას, რათა გახსნისას აღარ იყოს ტექნიკური ხარვეზი.
ინდიკატორი 2.2.1.3	შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი;	სასურველია, დაწყებით საფეხურზე ქართულ ენასა და ლიტერატურაში განმავითარებელი შეფასების რუბრიკები ისეთი გაკეთდეს, რომელიც მიმართული იქნება უშუალოდ თემის ფარგლებში სამიზნე ცნებისა და შესაბამისი მკვიდრი წარმოდგენების გააზრება/დამუშავებაზე. ასევე შეფასების რუბრიკებში კრიტერიუმები იყოს მეტად კონკრეტული; უფრო კარგად იკვეთებოდეს, რომელი საკითხისა და რომელი ინდიკატორის შეფასებას ემსახურება ესა თუ ის კრიტერიუმი.
		მათემატიკა
ინდიკატორი 2.1.2.1 ინდიკატორი 2.1.2.2	1.შემუშავებული კურიკულუმი წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას; 2.კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს;	სასურველია შუალედური მიზნის/მიზნების მისაღწევი მრავალფეროვანი შემოქმედებითი პროდუქტების განხორციელება
ინდიკატორი 2.1.2.4	სასწავლო პროცესი არის ინკლუზიური და ითვალისწინებს დიფერენცირებულ მიდგომებს;	სასურველია საგნობრივ კურიკულუმში გათვალისწინებული იყოს მოსწავლეთა ინდივიდუალური შესაძლებლობები და შეთავაზებულ იქნას მრავალფეროვანი აქტივობები.
ინდიკატორი 2.1.2.3	კურიკულუმით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ	სასურველია სასწავლო რესურსების მრავალფეროვნება კურიკულუმით განსაზღვრული სწავლის შედეგის მიღწევისთვის. სასურველია კურიკულუმებში განისაზღვროს „რესურსები“ ერთ-ერთ სვეტად, სადაც



	კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას;	ასახული იქნება ყველა ის რესურსი რომელიც საჭიროა თემის დამუშავებისთვის.
ინდიკატორი 2.2.2.1	კურიკულუმით განსაზღვრული ძირითადი და დამხმარე სასწავლო რესურსი გამოიყენება სასწავლო პროცესში; (შესაძლოა არ შეივსოს პირველად ავტორიზაციაზე)	სასურველია მეტი აქცენტი გაკეთდეს ელექტრონული რესურსების შექმნასა და გამოყენებაზე სასწავლო პროცესში.
ინდიკატორი 2.1.2.5	მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს.	სასურველია განმავითარებელი შეფასების რუბრიკები სრულყოფილად ფარავდეს კურიკულუმით განსაზღვრულ თემის გარშემო საკითხებს
		ბუნებისმეტყველება - i-vi კლასები
ინდიკატორი 2.1.2.1. ინდიკატორი 2.1.2.2.	1. შემუშავებული კურიკულუმი წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას; 2. კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს;	III კლასი კურიკულუმში შუალედური მიზანი გამოკვეთილია მხოლოდ თემაში - ჩემი ქვეყნის ბუნება, განსაზღვრეთ შუალედური მიზანი კომპლექსური ბუნების დავალების სახით თემისთვისაც - მზის სისტემა. V კლასი კურიკულუმში მხოლოდ ერთი სავალდებულო თემის (ეკოსისტემები) არის განსაზღვრული შუალედური მიზანი კომპლექსური დავალების სახით; განსაზღვრეთ შუალედური მიზანი კომპლექსური ბუნების დავალების სახით სხვა თემებისთვისაც - კოსმოსი; მოვლენები ჩვენს გარშემო. VI კლასი კურიკულუმში მხოლოდ ერთი სავალდებულო თემის (ადამიანის სხეული და ჯანმრთელობა) არის განსაზღვრული შუალედური მიზანი კომპლექსური დავალების სახით; განსაზღვრეთ შუალედური მიზანი კომპლექსური ბუნების დავალების სახით სხვა თემებისთვისაც - ენერგია და მისი



		გარდაქმნა; ნარევები და მათი დაყოფის გზები.
ინდიკატორი 2.1.2.5.	მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს.	განმავითარებელი შეფასების რუბრიკები შექმენით თქვენ მიერ შერჩეული ყოველი კომპლექსური/კომპლექსური ბუნების დავალებისთვის. განმავითარებელი შეფასების რუბრიკაში მიუთითეთ ის სამიზნე ცნებები და მკვიდრი წარმოდგენები, რომელსაც მიემართება კონკრეტული კომპლექსური/კომპლექსური ბუნების დავალება, მოლოდინები კი აღწერეთ სოლო ტაქსონომიის აბსტრაქტული დონის შესაბამისად. ამ კუთხით, როგორც ნიმუში, გამოიყენეთ თქვენ მიერ წარმოდგენილი მე-4 კლასის განმავითარებელი შეფასების რუბრიკები. მე-5-6 კლასებისთვის (მე-5 კლასისთვის მეორე სემესტრის შესაბამისი თემებისა და საკითხებისთვის) შექმენით განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები. განმსაზღვრელი შეფასების კრიტერიუმების ჩამოყალიბებისთვის გამოიყენეთ საგნობრივ სტანდარტებში მოცემული თითოეული სავალდებულო თემის სამიზნე ცნებების მიხედვით დაჯგუფებული შეფასების ინდიკატორები. ამ კუთხით, როგორც ნიმუში, გამოიყენეთ თქვენი სკოლის მიერ ბიოლოგიაში წარმოდგენილი მე-8 კლასის განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკა.
		მე და საზოგადოება
ინდიკატორი 2.2.1.3	შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი;	ჩვენი საქართველო v კლასში წარმოდგენილი უნდა იყოს განმავითარებელი შეფასების რუბრიკა გამომდინარე საგნის ცნებებიდან. გთხოვთ, მიუთითოთ მტკიცებულებები, რომლებსაც ეყრდნობა თქვენი შეფასება მტკიცებულებები: 1. საგნობრივი კურიკულუმები მე და საზოგადოება iii-iv კლასები 2. საგნობრივი კურიკულუმები ჩვენი საქართველო v კლასი 3. მე და საზოგადოება III-IV კლასები- კომპლექსური ტიპის დავალება

		ესთეტიკური აღზრდის კათედრა: სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება, მუსიკა.
ინდიკატორი 2.1.2.1	შემუშავებული კურიკულუმი წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას;	სასურველია დაწყებითი კლასების კურიკულუმის რესურსების სვეტში, გაიწეროს დამატებითი რესურსები (ასეთის არსებობის შემთხვევაში), ხოლო სახელმძღვანელოს შემთხვევაში მიუთითებთ გრიფირებულ სახელმძღვანელოს, რომლითაც ასწავლით ამ კლასებში და თითოეულ თემის გასწვრივ აღნიშნავთ კონკრეტულ გვერდებს
ინდიკატორი 2.1.2.1 ინდიკატორი 2.1.2.2	1.შემუშავებული კურიკულუმი წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას; 2.კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს;	სასურველია კურიკულუმში, ეროვნულ სასწავლო გეგმის მიხედვით (თავი 1, მუხლი 5.) გაწერილი იყოს, თუ რა შემოქმედებითი პროდუქტი უნდა შექმნას მოსწავლემ, რითაც წარმოჩნდება მისი ცოდნა საკითხთან მიმართებით და წარმოადგენს შუალედურ მიზანს. ამ კუთხით სასურველია გადაიხედოს სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების მე-5 და მე-6 კლასის კურიკულუმი.
ინდიკატორი 2.1.2.5	მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს.	სასურველია განმსაზღვრელი შეფასება აღწერდეს მოსწავლის მიღწევებს ცნებებთან, ქვეცნებებთან, შესასწავლ თემასთან და დასამუშავებელ საკითხთან მიმართებაში. შესაბამისად, v-vi კლასებში განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკების გაწერის დროს სასურველია ორიენტირი იყოს სამიზნე ცნებები, თავისი ქულობრივი შეფასებით.
	საბაზო საფეხური	სახელმწიფო ენა
ინდიკატორი 2.1.2.1	შემუშავებული კურიკულუმი წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას;	სასურველია კურიკულუმის ჩარჩოებში, სტანდარტის შესაბამისად, სრულად იყოს შევსებული ყველა სვეტი (გრძელვადიანი მიზნები და შუალედური მიზნები), კონკრეტულად - სასწავლო თემა, სამიზნე ცნება, სამიზნე ცნების შესაბამისი მკვიდრი წარმოდგენები, ტექსტი და საკითხები, ასევე სასწავლო რესურსები და დამატებითი რესურსებში მითითებული ელექტრონული ლინკები.
ინდიკატორი 2.1.2.1	1.შემუშავებული კურიკულუმი წარმოადგენს მოსწავლეზე	სასურველია, საგნობრივ კურიკულუმში ჩაიწეროს მხოლოდ ისეთი ტიპის კომპლექსური დავალებები, რომლის რეალურად განხორციელების



ინდიკატორი 2.1.2.2	ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას; 2.კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს;	შესაძლებლობაც აქვს სკოლას; კომპლექსური დავალების ბარათებში დაზუსტდეს სამიზნე ცნებები და შესაბამისი მკვიდრი წარმოდგენები.
ინდიკატორი 2.1.2.2	კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს;	სასურველია, საგნობრივ კურიკულუმში, ჩანდეს ყველა ის აქტივობა რასაც ახორციელებს სკოლა საბაზო საფეხურზე. მაგალიტად პროექტი, სასწავლო ექსკურსია და ა.შ.
ინდიკატორი 2.1.2.3	კურიკულუმით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას;	საბაზო საფეხურზე, სასკოლო კურიკულუმებში, რესურსების ველში მიეთითოს სახელმძღვანელოდან შესაბამისი ტექსტის სახელწოდება და გვერდები, ასევე დამატებით ელექტრონულ რესურსებს დაერთოს აღწერილობა და ჰიპერლინკის სახით სწორად ჩაისვას, რათა გახსნისას აღარ იყოს ტექნიკური ხარვეზი.
ინდიკატორი 2.2.1.3	შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი;	სასურველია, საბაზო საფეხურზე ქართულ ენასა და ლიტერატურაში როგორც განმსაზღვრელი, ისე განმავითარებელი შეფასების რუბრიკები გაკეთდეს ისე, რომ კრიტერიუმები იყოს მეტად კონკრეტული; უფრო კარგად იკვეთებოდეს, რომელი ინდიკატორის შეფასებას ემსახურება ესა თუ ის კრიტერიუმი.
		მათემატიკა
ინდიკატორი 2.1.2.4	სასწავლო პროცესი არის ინკლუზიური და ითვალისწინებს დიფერენცირებულ მიდგომებს;	სასურველია საგნობრივ კურიკულუმში გათვალისწინებული იყოს მოსწავლეთა ინდივიდუალური შესაძლებლობები და შეთავაზებულ იქნას მრავალფეროვანი აქტივობები დიფერენცირებული და ინკლუზიური მიდგომების გათვალისწინებით.
ინდიკატორი 2.2.1.1	სასწავლო პროცესი დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად;	სასურველია კურიკულუმი შემუშავდეს ეროვნული სასწავლო გეგმის სტანდარტის შესაბამისი ყველა სავალდებულო თემის, ცნების და

		საკითხების შესაბამისად, მოსწავლეებს შესთავაზონ შესაბამისი სასწავლო თემები და საკითხები სამიზნე ცნებების გასააზრებლად.
ინდიკატორი 2.1.2.3	კურიკულუმით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას;	სასურველია სასწავლო რესურსების მრავალფეროვნება კურიკულუმით განსაზღვრული სწავლის შედეგის მიღწევისთვის. სასურველია კურიკულუმებში განისაზღვროს „რესურსები“ ერთ-ერთ სვეტად, სადაც ასახული იქნება ყველა ის რესურსი რომელიც საჭიროა თემის დამუშავებისთვის.
ინდიკატორი 2.2.2.1	კურიკულუმით განსაზღვრული ძირითადი და დამხმარე სასწავლო რესურსი გამოიყენება სასწავლო პროცესში; (შესაძლოა არ შეივსოს პირველად ავტორიზაციაზე)	სასურველია მეტი აქცენტი გაკეთდეს ელექტრონული რესურსების შექმნასა და გამოყენებაზე სასწავლო პროცესში.
ინდიკატორი 2.1.2.5	მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს.	სასურველია შეფასების რუბრიკები სრულყოფილად ფარავდეს კურიკულუმით განსაზღვრულ თემის გარშემო საკითხებს
		vii-ix კლასები - ბიოლოგია vii-ix კლასები - ფიზიკა viii-ix კლასები - ქიმია
ინდიკატორი 2.1.2.1	შემუშავებული კურიკულუმი წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას;	ფიზიკა vii კლასი კურიკულუმი შექმენით ისეთი ფორმით, რომ მოიცავდეს ისეთ აუცილებელ კომპონენტებს, როგორიცაა სამიზნე ცნებები, კონტექსტ-მაგალითი, მაგალითები შედარებისთვის და სასწავლო რესურსები. გაასწორეთ თემების დასახელება: თემა 1. ნივთიერების აგებულება და მისი ფიზიკური თვისებები; თემა 2. თანაბარი და არათანაბარი მოძრაობა. გაითვალისწინეთ, რომ „შესავალი“ თემა არ არის.



		კურიკულუმის, როგორც სტრუქტურირებული დოკუმენტის ნიმუშად გამოიყენეთ თქვენმიერვე გამოგზავნილი მე-8 კლასის კურიკულუმი. viii კლასი კურიკულუმში გაითვალისწინეთ, რომ სავალდებულოა ორი თემა: თემა 1. მექანიკური მოვლენები; თემა 2. სითბური მოვლენები. ix კლასი კურიკულუმში შექმენით ისეთივე დოკუმენტის სახით, როგორც თქვენი მე-8 კლასის კურიკულუმია. კურიკულუმში გაასწოროთ თემების დასახელება: თემა 1. არათანაბარი და მრუდწირული მოძრაობა; თემა 2. სტატიკა და დინამიკა.
ინდიკატორი 2.1.2.1 ინდიკატორი 2.1.2.2	1. შემუშავებული კურიკულუმი წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას; 2. კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს;	ფიზიკა vii კლასი კურიკულუმში წარმოაჩინეთ, თქვენმიერ შერჩეული კომპლექსური დავალებები რომელ სამიზნე ცნებას/ცნებებს მიემართება. ix კლასი კურიკულუმში წარმოაჩინეთ, თქვენმიერ შერჩეული კომპლექსური დავალებები რომელ სამიზნე ცნებას/ცნებებს მიემართება.



ინდიკატორი 2.1.2.3	კურიკულუმით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას;	სკოლამ იზრუნოს საბუნებისმეტყველო ლაბორატორიაში არსებული სუსტი მხარეების გამოსწორებაზე - ლაბორატორიაში არ არის გამჭოვი კარადა, სველი წერტილი, ცეცხლგამძლე ზედაპირის მქონე სადემონსტრაციო მაგიდა.
ინდიკატორი 2.1.2.5	მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს.	განმავითარებელი შეფასების რუბრიკები შექმენით თქვენ მიერ შერჩეული ყოველი კომპლექსური/კომპლექსური ბუნების დავალებისთვის. განმავითარებელი შეფასების რუბრიკაში მიუთითეთ ის სამიზნე ცნებები და მკვიდრი წარმოდგენები, რომელსაც მიემართება კონკრეტული კომპლექსური/კომპლექსური ბუნების დავალება, მოლოდინები კი აღწერეთ სოლო ტაქსონომიის აბსტრაქტული დონის შესაბამისად. ამ კუთხით, როგორც ნიმუში, გამოიყენეთ თქვენ მიერ ბიოლოგიაში წარმოდგენილი განმავითარებელი შეფასების რუბრიკა. შექმენით განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები. განმსაზღვრელი შეფასებისთვის შეფასების კრიტერიუმების ჩამოყალიბებისთვის



		გამოიყენეთ საგნობრივ სტანდარტებში მოცემული თითოეული სავალდებულო თემაში სამიზნე ცნებების მიხედვით დაჯგუფებული შეფასების ინდიკატორები. ამ კუთხით, როგორც ნიმუში, გამოიყენეთ თქვენ მიერ ბიოლოგიაში წარმოდგენილი მე-8 კლასის განსაზღვრელი შეფასების რუბრიკა.
		ესთეტიკური აღზრდის კათედრა: სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება, მუსიკა.
ინდიკატორი 2.1.2.1 ინდიკატორი 2.1.2.2	1.შემუშავებული კურიკულუმი წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას; 2.კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს;	სასურველია, საბაზო საფეხურის მე-9 კლასის მუსიკის კურიკულუმში გაიწეროს ყველა სამიზნე ცნება, რათა საკითხის მითითებისას ნათლად ჩანდეს რომელ ცნებებს მიემართება.
ინდიკატორი 2.1.2.2	კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს;	სასურველია მუსიკის კურიკულუმის შედგენისას ყურადღება მიექცეს, შესასწავლი საკითხების რეალური რაოდენობის შერჩევას, რადგან სასკოლო სასწავლო გეგმით გათვალისწინებული საათობრივი ბადის მიხედვით სკოლაში მე-8, მე-9 კლასებში მუსიკას ეთმობა ერთი კვირეული საათი, შესაბამისად, კურიკულუმში მითითებული ყველა საკითხის გავლა შესაძლებელია ვერ მოხერხდეს.
ინდიკატორი 2.2.1.3	შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი;	სასურველია, შეფასების ინსტრუმენტები მეტად დაუახლოვდეს ესგ-ს შეფასების პრინციპებს, განსაკუთრებით ვალიდურობის თვალსაზრისით და აიგოს გრძელვადიან მიზნებსა და კონტექსტებზე მორგებულად. რუბრიკის კრიტერიუმები კი ეყრდნობოდეს საგნობრივი სტანდარტის შეფასების ინდიკატორებს.



ინდიკატორი 2.1.2.5	მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს.	სასურველია მოხდეს მოსწავლეთა შედეგების დიაგნოსტიკის საფუძველზე სკოლის დონეზე ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვის პროცესის შეფასება. ამისათვის კათედრამ უნდა შეარჩიოს სადიაგნოსტიკო შეფასების გარკვეული ინსტრუმენტი.
	საშუალო საფეხური	სახელმწიფო ენა
ინდიკატორი 2.1.2.1	შემუშავებული კურიკულუმი წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას;	სასურველია, საშუალო საფეხურის კურიკულუმის ჩარჩოებში, სტანდარტის შესაბამისად, სრულად იყოს შევსებული ყველა სასწავლო თემა, სამიზნე ცნება, ტექსტი და საკითხები, ასევე სასწავლო რესურსები და დამატებით რესურსებში მითითებული ელექტრონული ლინკები. საფეხურზე იხელმძღვანელონ მე-10 კლასის კურიკულუმის ჩარჩო-დოკუმენტით და მე-11 და მე-12 კლასის კურიკულუმის ჩარჩო-დოკუმენტებიც ზუსტად ამ სტილის იყოს.
ინდიკატორი 2.1.2.1	1. შემუშავებული კურიკულუმი წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას;	სასურველია, საგნობრივ კურიკულუმში ჩაიწეროს მხოლოდ ისეთი ტიპის კომპლექსური დავალებები, რომლის რეალურად განხორციელების შესაძლებლობაც აქვს სკოლას; კომპლექსური დავალების ბარათებში დაზუსტდეს სამიზნე ცნებები და შესაბამისი მკვიდრი წარმოდგენები.
ინდიკატორი 2.1.2.2	2. კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს;	სასურველია, საგნობრივ კურიკულუმში, ჩანდეს ყველა ის აქტივობა რასაც ახორციელებს სკოლა დაწყებით საფეხურზე. მაგ: ინტეგრირებული გაკვეთილები, პროექტები.
ინდიკატორი 2.2.1.1	სასწავლო პროცესი დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად;	მე-11 და მე-12 კლასის კურიკულუმის ჩარჩოს გასწორების შემდეგაც ისე დაიგეგმოს სასწავლო პროცესი როგორც მე-10 კლასის ჩარჩო დოკუმენტის მიხედვითაა დაგეგმილი.
ინდიკატორი 2.1.2.3	კურიკულუმით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ	საშუალო საფეხურზე, სასკოლო კურიკულუმებში, რესურსების ველში მიეთითოს სახელმძღვანელოდან შესაბამისი ტექსტის სახელწოდება და გვერდები, ასევე დამატებით ელექტრონულ რესურსებს დაერთოს



	კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას;	აღწერილობა და ჰიპერლინკის სახით სწორად ჩაისვას, რათა გახსნისას აღარ იყოს ტექნიკური ხარვეზი.
ინდიკატორი 2.2.1.3	შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი;	სასურველია, საშუალო საფეხურზე, ქართულ ენასა და ლიტერატურაში როგორც განმსაზღვრელი, ისე განმავითარებელი შეფასების რუბრიკები ისეთი გაკეთდეს, რომელიც მიმართული იქნება უშუალოდ თემის ფარგლებში სამიზნე ცნებისა და შესაბამისი მკვიდრი წარმოდგენების გააზრება/დამუშავებაზე. ასევე შეფასების რუბრიკებში კრიტერიუმები იყოს მეტად კონკრეტული; უფრო კარგად იკვეთებოდეს, რომელი საკითხისა და რომელი ინდიკატორის შეფასებას ემსახურება ესა თუ ის კრიტერიუმი.
		მათემატიკა
ინდიკატორი 2.1.2.1 ინდიკატორი 2.1.2.2	1.შემუშავებული კურიკულუმი წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას; 2.კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს;	სასურველია მოსწავლეთა ჩართულობა კურიკულუმით განსაზღვრული შუალედური მიზნების განხორციელებისათვის შემოქმედებითი პროდუქტის შექმნის მიზნით.
ინდიკატორი 2.2.1.1	სასწავლო პროცესი დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად;	სასურველია საგნობრივი კურიკულუმის ყველა სავალდებულო თემის, ცნების და საკითხების შესაბამისად ,მოსწავლეებს შესთავაზონ შესაბამისი სასწავლო თემები და საკითხები სამიზნე ცნებების გასააზრებლად .
		x-xii კლასები - ბიოლოგია x-xii კლასები - ფიზიკა x-xii კლასები - ქიმია
ინდიკატორი 2.1.2.1	შემუშავებული კურიკულუმი წარმოადგენს მოსწავლეზე	ბიოლოგია, ფიზიკა, ქიმია xii კლასი



	ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას;	შექმენით კურიკულუმები თითოეულ საბუნებისმეტყველო საგანში.
ინდიკატორი 2.1.2.5	მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს.	განმავითარებელი შეფასების რუბრიკები შექმენით თქვენ მიერ შერჩეული ყოველი კომპლექსური/კომპლექსური ბუნების დავალებისთვის. განმავითარებელი შეფასების რუბრიკაში მიუთითეთ ის სამიზნე ცნებები და მკვიდრი წარმოდგენები, რომელსაც მიემართება კონკრეტული კომპლექსური/კომპლექსური ბუნების დავალება, მოლოდინები კი აღწერეთ სოლო ტაქსონომიის აბსტრაქტული დონის შესაბამისად. ამ კუთხით, როგორც ნიმუში, გამოიყენეთ თქვენ მიერ ბიოლოგიასა და ქიმიაში წარმოდგენილი განმავითარებელი შეფასების რუბრიკები. შექმენით განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები. განმსაზღვრელი შეფასების კრიტერიუმების ჩამოყალიბებისთვის გამოიყენეთ საგნობრივ სტანდარტებში მოცემული თითოეული სავალდებულო თემაში სამიზნე ცნებების მიხედვით დაჯგუფებული შეფასების ინდიკატორები. ამ კუთხით, როგორც ნიმუში, გამოიყენეთ თქვენ მიერ ბიოლოგიაში წარმოდგენილი მე-8 კლასის განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკა.
		მოქალაქეობა ისტორია საქართველოს ისტორია



		გეოგრაფია
ინდიკატორი 2.2.1.1	სასწავლო პროცესი დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად;	კურიკულუმში უნდა ჩანდეს დიფერენცირებული მიდგომა, კომპლექსური ტიპის დავალებების მრავალფეროვნება, არჩევანის საშუალება სასწავლო გეგმის მოდიფიცირება ან აკომოდაცია კურიკულუმში სსსმ მოსწავლეებისთვის
		ესთეტიკური აღზრდის კათედრა: სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება, მუსიკა.
ინდიკატორი 2.1.2.1	შემუშავებული კურიკულუმი წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას;	სასურველია მუსიკის საგანში კურიკულუმის შედგენისას გამოიკვეთოს თემა და დასამუშავებელი სამიზნე ცნებები.
		უცხოური ენები (ინგლისური ენა, რუსული ენა)
ინდიკატორი 2.1.2.5	მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს.	სასურველია მოხდეს მოსწავლეთა შედეგების დიაგნოსტიკის საფუძველზე სკოლის დონეზე ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვის პროცესის შეფასება. ამისათვის კათედრამ უნდა შეარჩიოს სადიაგნოსტიკო შეფასების გარკვეული ინსტრუმენტი. ასევე, სასურველია, შედგენილ იქნას განმსაზღვრელი შეფასების ისეთი რუბრიკები, რომელთაც თან ახლავს გრაფა კომენტარებისათვის, რომლის საშუალებით მასწავლებელი ახსნის, თუ რატომ შეაფასა მოსწავლე ამა თუ იმ ქულით.

vii. წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების სტატუსი (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

viii. ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე

გთხოვთ, დეტალურად ასახოთ ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე.

სკოლის მიერ წარმოდგენილი იქნა კორექტირებული შესაბამისობის გეგმა და რომელშიც სრულად არის გაზიარებული ექსპერტთა პოზიცია: საბაზო და საშუალო საფეხურზე, საზოგადოებრივი მეცნიერების ექსპერტის მიერ დადგენილი იყო ხარვეზი, 2.2.1.3. კომპონენტში. სკოლის მიერ წარმოდგენილი კორექტირებული გეგმით დადგენილი იქნა გამოსწორების ვადა 13.04.2025 წელი. შესაბამისად ინდიკატორი შეფასდა როგორც მეტწილად შეესაბამება.

ასევე სკოლამ წარმოადგინა სტრატეგიული განვითარების შვიდწლიანი გეგმა, შესაბამისად 1.2.1.2. ინდიკატორი შეფასდა როგორც სრულად შეესაბამება.

აქვე გაცნობებთ რომ სკოლის მიერ ეტაპობრივად ხორციელდება ექსპერტთა მიერ გაცემული რეკომენდაციებისა და რჩევების გათვალისწინება შემდგომ საქმიანობაში.

ნაწილი iii. სტანდარტების აღწერა და შეფასება (i, iii და iv სტანდარტი)

1. სკოლის ფილოსოფია

1.1. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები

1.1.1. სკოლას გააზრებული აქვს საკუთარი ადგილი და როლი საგანმანათლებლო სივრცესა და საზოგადოებაში

1. სკოლის მისია და ხედვა შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს;
2. სკოლა მისიითა და ხედვით განსაზღვრავს საკუთარ როლს, როგორც სასკოლო საზოგადოებისთვის უსაფრთხო და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებულ სოცო-კულტურულ სივრცეს;
3. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების ჩართულობით;
4. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;
5. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები საჯაროდაა ხელმისაწვდომი;
6. სკოლის სახელწოდება შეესაბამება მისი სტატუსის აღმნიშვნელ, კანონმდებლობით დადგენილ ტერმინს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის მისია და ხედვა შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს;

სსიპ დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის სოფელ ზემო მაჩხაანის საჯარო სკოლას შემუშავებული აქვს სკოლის მისია და ხედვა. აღნიშნული დოკუმენტი ინახება სკოლის დოკუმენტაციაში. სკოლას შემუშავებული აქვს სკოლის მისია და ხედვა. სკოლის ფილოსოფიის დოკუმენტი შეთანხმებულია პედაგოგიურ საბჭოსთან და სამეურვეო საბჭოსთან.

სკოლის მისიას: შექმნას უსაფრთხო სასწავლო-აღმზრდელობითი გარემო, რომელიც ორიენტირებული იქნება პატრიოტიზმზე; თითოეული მოსწავლის თვითრეალიზაციისთვის საჭირო ცოდნისა და ცნობიერების ამაღლებაზე; პროფესიულ ორიენტაციაში დახმარებასა და 21-ე საუკუნისთვის საჭირო უნარების განვითარებაზე.

სკოლის ხედვაში იკითხება: „სკოლის ყველა თანამშრომელი ზრუნავს ბავშვის გონებრივ, ფიზიკურ, სულიერ, ემოციურ განვითარებაზე, რათა ჩამოყალიბდეს სოციუმის სრულფასოვან წევრად. ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ სწავლება და სწავლა უნდა იყოს ყველასთვის განსხვავებული.“

სკოლის ყველა თანამშრომელს გააზრებული აქვს თანამშრომლობით, ერთგულებით, სიყვარულით სწავლა გახდება ეფექტური. ყველა ბავშვს აქვს ინდივიდუალური ნიჭი, შესაძლებლობა და განვითარების განსხვავებული პოტენციალი. ამიტომ სკოლა ზრუნავს თითოეულმა მოსწავლემ შეიგრძნოს და დაინახოს საკუთარი განვითარების პროგრესი.

მოსწავლეები უზრუნველყოფილი არიან ღირებული სასწავლო გამოცდილებით, სწავლება/სწავლის ინოვაციური მეთოდებით, აქვთ საკუთარი განვითარების ინდივიდუალური გზა, ისინი არიან მტკიცე, თუმცა სიკეთითა და მიუკერძოებლობით განმსჭვალული.

სკოლა მიმართულია თითოეული მოსწავლის შესაძლებლობების, პოტენციალისა და განსაკუთრებული ნიჭის გამოვლენასა და მაქსიმალურ განვითარებაზე. ხელს უწყობს თითოეული ბავშვის ცხოვრებას და წარმატებას დღევანდელ საზოგადოებაში სკოლისა და ოჯახის კონსტრუქციული თანამშრომლობისა და პასუხისმგებლობის გადანაწილების გზით“.

სკოლას არ წარმოუდგენია მისიის და ხედვის გაზიარების დამადასტურებელი დოკუმენტი. თუმცა მისია და ხედვა განთავსებულია სკოლის ფოიეში, ყველასთვის ხელმისაწვდომ ადგილას. ამასთან მისია ხედვა და ღირებულებები სკოლას განთავსებული აქვს skolebi.emis.ge-ს პორტალზე. სკოლის ღირებულებები ცალკე დოკუმენტად არ ინახება დოკუმენტაციაში, თუმცა განთავსებულია ზემოთ აღნიშნულ პორტალზე:

ორგანიზაციის ღირებულებები:

ობიექტურობა: ჩვენს მიერ განხორციელებული შეფასებები, ასევე თვითშეფასება ეფუძნება კანონმდებლობით დადგენილ სტანდარტებს. დადგენილი პროცედურები მაქსიმალურად გამორიცხავს შეფასებაში მონაწილე პირების მიკერძოებულობას.

გამჭირვალობა: ჩვენს საქმიანობაში მოქმედი სტანდარტები და პროცედურები, ჩვენი ხედვები და ღირებულებები საჯაროდაა ხელმისაწვდომი.

მიუკერძოებლობა: ჩვენ უზრუნველყოფთ, რომ სკოლის მიერ მიღებული გადაწყვეტილებები შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობასა და ითვალისწინებს დაინტერესებულ მხარეთა საუკეთესო ინტერესებს.

თანამშრომლობა: ჩვენ მზად ვართ დაინტერესებულ მხარეებთან თანამშრომლობისათვის, კონსტრუქციულად განვიხილავთ სიახლეებს, წინადადებებს, განსხვავებულ პოზიციებსა და ორიენტირებული ვართ პრობლემების გადაჭრაზე“.

გამომდინარე აქედან სკოლის მიერ წარმოდგენილი ფილოსოფიის დოკუმენტაციის შესწავლით დგინდება, რომ სკოლის მისია და ხედვა შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს.

ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

2. მისიასა და ხედვაში ნათლად ჩანს, რომ სკოლას განსაზღვრული აქვს საკუთარი ადგილი და როლი, გაცნობიერებული აქვს, რომ ის უნდა იყოს სასკოლო საზოგადოებისთვის, მოსწავლეებისათვის უსაფრთხო და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებულ სოციო-კულტურული სივრცე;

სსიპ დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის სოფელ ზემო მაჩხაანის საჯარო სკოლას აქვს ახლად აშენებული შენობა, რომელშიც შექმნილია თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი საგანმანათლებლო გარემო, როგორც ფიზიკური, ისე სოციო-კულტურული კუთხით. სკოლის ფიზიკური გარემო შეესაბამება საგანმანათლებლო დაწესებულების ინკლუზიური განათლების პოლიტიკას. სკოლაში განხორციელებული პროფესიული პროგრამები, პროექტები და სხვა არაფორმალური განათლების აქტივობები მიზნად ისახავს მისიასა და ხედვაში განსაზღვრული პრიორიტეტების მიღწევას. სკოლას ასევე აქვს მეორე შენობა, რომელიც განთავსებულია სოფელ მირზაანში. ამრიგად, სკოლა არის უმნიშვნელოვანესი დაწესებულება და არა მარტო სოფელ ზემო მაჩხაანში. იგი რომელიც უზრუნველყოფს არა მარტო განათლების ხელმისაწვდომობას თითოეული მოსწავლისთვის თავის საცხოვრებელთან ახლოს, არამედ ასევე ზრუნავს მოსწავლეთა პროფორიენტაციაზე, შესაბამისი პროფესიული პროგრამების განხორციელების საშუალებით, რაც მეტად მნიშვნელოვანია ამ რეგიონში მცხოვრები ახალგაზრდებისთვის. დაწესებულებაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულები და დასაქმებული პირები უზრუნველყოფენ უსაფრთხო გარემოს შექმნას და წესრიგის დაცვას კანონმდებლობისა და სკოლის მიერ განსაზღვრული შიდა მექანიზმების შესაბამისად.

სკოლის ფილოსოფიაში ხაზგასმულია სასკოლო საზოგადოების როლი მოსწავლეების მიღწევებსა და შედეგებზე, კერძოდ უსაფრთხო, მზრუნველი და წამახალისებელი გარემოს შეთავაზება. სოციო-კულტურულ სივრცედ ჩამოყალიბების მიზნით სკოლა ცდილობს გააძლიეროს ისეთი მიმართულებები, როგორიცაა სასკოლო პროცესების განხორციელებაში სასკოლო საზოგადოების აქტიური ჩართულობა. სკოლას შემუშავებული აქვს განვითარების საშუალებები, როგორიცაა არაფორმალური განათლების მექანიზმები, პროფესიული მხარდაჭერისა და განვითარების მექანიზმი (მოსწავლეებში პროფესიული ორიენტაციის განვითარების მიზნით თანამშრომლობს პროფესიულ სასწავლებელ „აისტან“).

სკოლას ზრუნავს უსაფრთხო გარემოს შექმნაზე - ფუნქციონირებს მრჩეველთა საბჭო, დისციპლინური კომიტეტი, სამედიცინო მხარდაჭერა, სკოლაში საქმიანობს სპეციალური მასწავლებელი. სკოლას აქვს მასწავლებელთა მორიგეობის ცხრილი..

სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა ინტერესებისა და საჭიროებების გათვალისწინებით შექმნილი **კლუბები: მაგ. სამოქალაქო განათლების კლუბი „თავისუფალი“ ეკოკლუბი „კარბონატები“ , ლიტერატურული კლუბი “წიგნიერი”**. სკოლამ მტკიცებულებად წარმოადგინა კლუბების საქმიანობის შესახებ ინფორმაცია კლუბის საქმიანობის შესახებ. ზემოთაღნიშნული უზრუნველყოფს სკოლაში უსაფრთხო და მამოტივირებელი ფსიქო-ემოციური გარემოს არსებობას.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის მისია;
- სკოლის ხედვა;
- სკოლის ღირებულებები;
- სამოქალაქო განათლების კლუბის დებულება
- ეკოკლუბის დებულება;
- ლიტერატურული კლუბის დებულება.

3. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების ჩართულობით;

სსიპ დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის სოფელ ზემო მაჩხაანის საჯარო სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები შემუშავდა სასკოლო საზოგადოების ჩართულობით და მათი უკუკავშირის გათვალისწინებით. დაწესებულებამ განახორციელა გამოკითხვა მოსწავლეებთან, პედაგოგებთან და მშობლებთან. აღნიშნულის დასადასტურებლად სკოლას წარმოდგენილი აქვს კითხვარი. თუმცა კითხვარის დამუშავებული შედეგების დამადასტურებელი დოკუმენტი სკოლას არ წარმოუდგენია. ინტერვიუს დროს დადგინდა, რომ სკოლამ გაითვალისწინა გამოკითხულთა მოლოდინები და პრიორიტეტები, გამოიკითხა თუ რა ღირებულებებს უნდა გადასცემდეს სკოლა მოსწავლეებს და შემდგომ შეიმუშავა მისია და ხედვა საბოლოო სახით.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

4. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;

სკოლის სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგიაში გაწერილია სკოლის მისიის, ხედვისა და ღირებულებების შემუშავებისა და გაზიარების ეტაპები. ვინაიდან, სასკოლო საზოგადოება თავიდანვე იყო ჩართული მისიის, ხედვისა და ღირებულებების შემუშავების პროცესში, მაღალია სკოლის ფილოსოფიის გაზიარების ხარისხიც. ვიზიტის დროს, ინტერვიურებისა და მსჯელობის პროცესში, გამოიკვეთა სკოლის ადმინისტრაციის წევრებისა და პედაგოგების მიერ, სკოლის მისიისა და ღირებულებების გაცნობიერების მაღალი დონე, ასევე გუნდის ჩართულობა მისიისა და ღირებულებების შესრულებისათვის აუცილებელი აქტივობების დაგეგმვასა და განხორციელებაში. ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე, **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

5. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები საჯაროდაა ხელმისაწვდომი;

სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები თვალსაჩინოდ არის წარმოდგენილი სკოლის ცენტრალურ შესასვლელში. ისინი ასევე განთავსებულია სკოლის ვებ-გვერდზე და სკოლის facebook - გვერდზე.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

6. სკოლის სახელწოდება შეესაბამება მისი სტატუსის აღმნიშვნელ, კანონმდებლობით დადგენილ ტერმინს

სკოლის სახელწოდება შეესაბამება მისი სტატუსის აღმნიშვნელ, კანონმდებლობით დადგენილ ტერმინს. კერძოდ, სკოლის დასახელება და სტატუსი განსაზღვრულია კანონმდებლობით - „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების საჯარო სამართლის იურიდიულ პირებად დაფუძნებისა და საჯარო სკოლის წესდების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2005 წლის 15 სექტემბრის №448 ბრძანებით, რომლის თანახმადაც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ორგანიზაციულ სამართლებრივ ფორმას წარმოადგენს: საჯარო სამართლის იურიდიული პირი (სსიპ), სახელწოდება: „სსიპ დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის სოფელ ზემო მაჩხაანის საჯარო სკოლა“. ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე, ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის მისია;
- სკოლის ხედვა;
- სკოლის ღირებულებები;
- სამოქალაქო განათლების კლუბის დებულება
- ეკოკლუბის დებულება;
- ლიტერატურული კლუბის დებულება.
- სოციო-კულტურული აქტივობების ამსახველი დოკუმენტები
- სკოლის ფილოსოფიის (მისია, ხედვა, ღირებულებები) შემუშავების მიზნით ჯგუფის შექმნის ბრძანება;
- სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია ;

შეფასება:

- გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.



- ☒ შეესაბამება
- ☐ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

1.2. სკოლის დაგეგმვა და განვითარება

1.2.1. სკოლას აქვს დაგეგმვის პრაქტიკა

1. სკოლას აქვს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგია, რომელიც განსაზღვრავს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინების მექანიზმებს;
2. სტრატეგიული გეგმა არის შვიდწლიანი, ციკლური და ეფუძნება სკოლის მისიას, ხედვას და ღირებულებებს (ფილოსოფიას). ის შეიცავს მისიასთან თავსებად მიზნებს და მიზნების შესაბამის ამოცანებს;
3. სამოქმედო გეგმა არის ერთწლიანი. ის ეფუძნება სკოლის სტრატეგიულ გეგმას და სკოლის ყოველწლიურ თვითშეფასებას;
4. სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და შესაბამისი რესურსები, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტურია.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას აქვს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგია, რომელიც განსაზღვრავს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინების მექანიზმებს;

,სსიპ დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის სოფელ ზემო მაჩხაანის საჯარო სკოლას დამტკიცებული აქვს სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია, რომელიც განსაზღვრავს სტრატეგიული დაგეგმვისა და განვითარების ძირითად ეტაპებსა და პროცესში ჩართულ მხარეებს, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შემუშავების, განხილვის, დამტკიცების, მათში ცვლილებების შეტანის და გაზიარების მექანიზმებს, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმის მონიტორინგის, შეფასებისა და სამოქმედო გეგმის წლიური ანგარიშის მომზადებასთან დაკავშირებულ საკითხებს.

სტრატეგიული დაგეგმვის პროცესი მოიცავს:

- სკოლის მისიის და ხედვის, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შემუშავებას, გაზიარებას, გადახედვას, განვითარებას და გასაჯაროებას;
- სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შემუშავებას, გაზიარებას და დამტკიცებას;
- სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების მონიტორინგს და შეფასებას;
- სტრატეგიული გეგმის ანგარიშის და სამოქმედო გეგმის წლიური ანგარიშის მომზადებას.

ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე,

ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს..

2. სტრატეგიული გეგმა არის შვიდწლიანი, ციკლური და ეფუძნება სკოლის მისიას, ხედვას და ღირებულებებს (ფილოსოფიას). ის შეიცავს მისიასთან თავსებად მიზნებს და მიზნების შესაბამის ამოცანებს;

სკოლის მიერ შემუშავებული სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგიით, სტრატეგიული გეგმა შემუშავდება ყოველ შვიდ წელიწადში ერთხელ, რაც უზრუნველყოფს მის ციკლურობას. საჭიროებიდან გამომდინარე, შესაძლოა, განხორციელდეს სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების გადახედვა და ცვლილების შეტანა სტრატეგიული განვითარების გეგმაში. სკოლას ამ ეტაპზე არ აქვს შემუშავებული სტრატეგიული განვითარების გეგმა, თუმცა მეთოდოლოგიაში ნათლად არის გაწერილი პროცესი, თუ როგორ უნდა შემუშავდეს იგი. მეთოდოლოგიის თანახმად, იგი უნდა მოიცავდეს:

- სასკოლო საზოგადოების (მშობლები, მოსწავლეები, მასწავლებლები) გამოკითხვას და შედეგებს,
- დოკუმენტაციის შესწავლისა და ფაქტობრივი მდგომარეობის ანალიზს,
- swot ანალიზს,
- სკოლის ფილოსოფიას,
- სტრატეგიულ ჩარჩოს, სტრატეგიული მიზნების კალენდარს,
- სტრატეგიული და სამოქმედო გეგმის განხორციელების მონიტორინგს და შეფასებას,
- დანართებს გამოკითხვის დეტალური ანალიზით.

ამავდროულად, სკოლას წარმოდგენილი აქვს შესაბამისობის გეგმა, რომლის თანახმადაც შვიდწლიანი სტრატეგიული გეგმის შემუშავებას სკოლა განახორციელებს მომდევნო ერთი წლის განმავლობაში. სკოლის მიერ 12.11.2024 წელს წარმოდგენილი იქნა შვიდწლიანი სტრატეგიული გეგმა, შესაბამისად ინდიკატორი, რომელიც შეფასებული იყო, როგორც **ინდიკატორი მეტწილად აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს**, შეფასდა როგორც **სრულად შეესაბამება სტანდარტით დადგენილ ნორმებს**.

3. სამოქმედო გეგმა არის ერთწლიანი. ის ეფუძნება სკოლის სტრატეგიულ გეგმას და სკოლის ყოველწლიურ თვითშეფასებას; სკოლას ამ ეტაპზე შემუშავებული არ აქვს ერთწლიანი სამოქმედო გეგმა, რადგან სამოქმედო გეგმა უნდა ეფუძნებოდეს სტრატეგიული განვითარების გეგმა, რომელიც ასევე შემუშავების პროცესშია. სკოლას სამოქმედო გეგმის შემუშავები ვადები გაწერილი აქვს შესაბამისობის გეგმაში, რომელიც დასკვნას თან ახლავს. სკოლა სამოქმედო გეგმის შემუშავებას ასევე უახლოეს პერიოდში გეგმავს.

ამ ეტაპზე დოკუმენტაციაში წარმოდგენილია 2023-2024 სასწავლო წლის სამოქმედო გეგმა, რაც მიუთითებს იმ ფაქტზე, რომ სკოლას ზოგადად აქვს დაგეგმვის პრაქტიკა.

ინდიკატორი მეტწილად აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

4. სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და შესაბამისი რესურსები, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტურია.

როგორც უკვე აღინიშნა, 2024-2025 სასწავლო წლის სამოქმედო გეგმა სკოლას არ აქვს წარმოდგენილი, თუმცა 2023-2024 სასწავლო წლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმის მიხედვით შეგვიძლია ვიმსჯელოთ დაწესებულებაში არსებულ დაგეგმვის პრაქტიკაზე. სამოქმედო გეგმაში, მიზნებისა და ამოცანების მიხედვით გაწერილია აქტივობები, შესრულებაზე პასუხისმგებელ პირებს/სტრუქტურულ ერთეულები, შესრულების ვადები, შესრულების ინდიკატორები, მაგრამ არ არის გაწერილი რესურსები. ექსპერტთა ჯგუფი თვლის, რომ ახალი სამოქმედო გეგმის შემუშავებისას სკოლამ უნდა გაითვალისწინოს და გაწეროს თითოეული აქტივობის განსახორციელებლად საჭირო რესურსი, ანუ უნდა განახორციელოს წარმოდგენილი დოკუმენტის ჩარჩოს მოდიფიცირება.

ინდიკატორი მეტწილად აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია და დამტკიცების ბრძანება;
- სტრატეგიული გეგმის შემუშავების ჯგუფის შექმნის ბრძანება;
- 2023-2024 სასწავლო წლის სამოქმედო გეგმა;
- სამეურვეო საბჭოს და პედაგოგიური საბჭოს ოქმი.

1.2.2. სკოლაში მოქმედებს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების მონიტორინგისა და შეფასების სისტემა

1. სკოლის სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია მოიცავს მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებს;
2. მეთოდოლოგიის შესაბამისად, სკოლა ახორციელებს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგსა და შეფასებას, მათ შორის სასკოლო საზოგადოებისა და სისტემის სხვა დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის გათვალისწინებით; *(შესაძლოა არ შეივსოს პირველად ავტორიზაციაზე)*
3. სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების განხორციელების შედეგები საჯაროა; *(შესაძლოა არ შეივსოს პირველად ავტორიზაციაზე)*
4. სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები გამოიყენება სკოლის შემდგომი განვითარებისთვის. *(შესაძლოა არ შეივსოს პირველად ავტორიზაციაზე)*

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია მოიცავს მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებს;

სკოლის მიერ შემუშავებული და დამტკიცებული სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია მოიცავს სტრატეგიული და სამოქმედო გეგმის მონიტორინგის, შეფასებისა და სამოქმედო გეგმის წლიური ანგარიშის მომზადებასთან დაკავშირებულ საკითხებს. მონიტორინგისა და შეფასების ნაწილში იდენტიფიცირებული საყურადღებო საკითხების ანალიზის შედეგები გამოიყენება მომდევნო სტრატეგიული გეგმისა თუ სამოქმედო გეგმის შემუშავებისთვის.

მონიტორინგის, შეფასებისა და ანგარიშების მომზადების/განხორციელების მექანიზმები გაწერილია მეთოდოლოგიის დოკუმენტის დანართი n1 - ის შესაბამისად. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია და დამტკიცების ბრძანება;

სტრატეგიული გეგმის შემუშავების ჯგუფის შექმნის ბრძანება;

2023-2024 სასწავლო წლის სამოქმედო გეგმა;

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

- ☐ შეესაბამება
- ☒ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

3. სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა

3.1. პერსონალის მართვა

3.1.1. სკოლის ორგანიზაციული მოწყობა უზრუნველყოფს დასახული მიზნების მიღწევას

1. სკოლაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული;
2. სკოლის სტრუქტურულ ერთეულებს/პირებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული, სკოლაში მოქმედებს სქემატურად განსაზღვრული სტრუქტურული ერთეულები: დირექცია, სამეურვეო საბჭო, პედაგოგიური საბჭო, დისციპლინური კომიტეტი, მრჩეველთა საბჭო, ხარისხის მართვის ჯგუფი, მოსწავლეთა თვითმმართველობა, საგნობრივი კათედრები. სკოლამ წარმოადგინა ორგანიზაციული სტრუქტურული სქემა. **სკოლაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების საქმიანობის წესი განსაზღვრულია სკოლის შინაგანაწესით, საჯარო სკოლის დებულებით და თანამდებობრივი ინსტრუქციების დოკუმენტით.** სკოლას საჯარო სკოლის დებულებაში გაწერილი აქვს სტრუქტურული სქემა. სტრუქტურული ერთეულების ფუნქციები და მოვალეობები. სკოლა ხელმძღვანელობს საჯარო სკოლის წესდებით, ასევე შემუშავებულია და დირექტორის ბრძანებით დამტკიცებულია სკოლის სტრუქტურული ერთეულებისა და მათი ფუნქცია-მოვალეობების, ასევე თანამშრომელთა სამუშაო აღწერილობების დოკუმენტები. სკოლაში შექმნილია სამეურვეო საბჭო, პედაგოგიური საბჭო, საგნობრივი კათედრები, მოსწავლეთა თვითმმართველობა, მრჩეველთა საბჭო, დისციპლინური კომიტეტი. საშტატო განრიგის მიხედვით, სკოლას ჰყავს დირექცია (დირექტორი, დირექტორის მოადგილე და ბუღალტერი), საქმისმწარმოებელი, ბიბლიოთეკარი, დარაჯი, დამლაგებელი, ცეცხლფარეში (მისი მოვალეობები დაზუსტებულია მათთან გაფორმებულ ხელშეკრულებაში).

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

2. სკოლაში სტრუქტურულ ერთეულებს (დირექცია, სამეურვეო საბჭო, პედაგოგიური საბჭო, საგნობრივი კათედრები, დისციპლინური კომიტეტი და მრჩეველთა საბჭო) და დასაქმებულ პირებს (საქმისმწარმოებელი, ბიბლიოთეკარი, დარაჯი, დამლაგებელი, ცეცხლფარეში) შორის ფუნქციები და პასუხისმგებლობები ისეთი განაწილებულია, რომ ხელს უწყობს საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებას. სკოლის ორგანიზაციული სტრუქტურა და ფუნქციების და პასუხისმგებლობების გადანაწილება ხელს უწყობს დაწესებულების საგანმანათლებლო საქმიანობას. თითოეული მათგანი, კანონმდებლობის ფარგლებში ახორციელებს საკუთარ მოვალეობას თავისი კომპეტენციის ფარგლებში, სკოლის ყველა თანამშრომელთან გაფორმებულია ხელშეკრულება, რომელშიც დეტალურად არის გაწერილი პოზიციის შესაბამისი ფუნქცია-მოვალეობები. თითოეული დასაქმებული ხელმოწერამდე ეცნობა დოკუმენტს. თანამშრომლებთან დადებული ხელშეკრულებები ასახულია შრომითი ხელშეკრულებების რეგისტრაციის ჟურნალში.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის სტრუქტურა;
- შინაგანაწესი;

- თანამდებობრივი ინსტრუქციები
- სკოლის მარეგულირებელი დებულება;
- სკოლის შინაგანაწესი;
- ორგანოგრამა.

3.1.2. პერსონალის მართვის პოლიტიკა უზრუნველყოფს სკოლის განვითარებას

1. პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად;
2. სკოლას აქვს საჭიროებებზე დაფუძნებული პრევენციული და ინტერვენციული პერსონალის მართვის პოლიტიკა;
3. პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობისა და გამჭვირვალების პრინციპების დაცვით;
4. პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობასა და დაწესებულების მიერ დადგენილ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს;
5. პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს;
6. სკოლას აქვს წარმატებული გამოცდილების აღიარებისა და გაზიარების მექანიზმი.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად; სკოლას პერსონალის მართვის პროცედურებისთვის არ აქვს ცალკე ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტი, თუმცა სკოლაში პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და შინაგანაწესის მიხედვით. წარმოდგენილი დოკუმენტები მოიცავს შემდეგ საკითხებს: კადრის მოზიდვა/შერჩევა, სამუშაო აღწერილობების, საკვალიფიკაციო მოთხოვნების განსაზღვრა, მასწავლებელთა შერჩევა/კონკურსის ორგანიზება, ახალი თანამშრომლის სოციალიზაცია, შესრულებული სამუშაოს შეფასება, პროფესიული განვითარება, შრომითი ურთიერთობის შეწყვეტა, დისციპლინური პასუხისმგებლობის საკითხები, წახალისების მექანიზმები და სხვა.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

რჩევა: სკოლამ საჭიროა შექმნას ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტი, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

2. სკოლას აქვს საჭიროებებზე დაფუძნებული პრევენციული და ინტერვენციული პერსონალის მართვის პოლიტიკა; პერსონალის პრევენციული და ინტერვენციული მართვისათვის სკოლა ახდენს ადამიანური რესურსის მართვას საჭირო პოზიციაზე მოთხოვნის დაკმაყოფილებისათვის სკოლა ახორციელებს შიდა გადაადგილებებს ფუნქციის დაკისრებისა და საჭირო კადრის გარედან მოზიდვის სახით. საჭიროებიდან გამომდინარე - პერსონალის საავადმყოფო ფურცელზე ან/და დეკრეტულ შვებულებაზე გასვლის შემთხვევაში - სკოლა მოქნილად ახორციელებს პრევენციულ ღონისძიებებს, რათა კრიტიკულ შემთხვევაში ხელი არ შეეშალოს სასწავლო პროცესს, არ დაირღვეს სასკოლო საზოგადოების უსაფრთხოება. თუ მასწავლებელი ვერ ახერხებს სამუშაოზე გამოცხადებას და ვერც დროულად აცნობებს სკოლას აღნიშნულის შესახებ, ხდება ჩანაცვლება იმავე საგნის მასწავლებლით შეთანხმების საფუძველზე, თუმცა სკოლა არ აწარმოებს ჩანაცვლების ჟურნალს. მასწავლებლის მიერ წინასწარი წერილობითი განცხადების შემთხვევაში ჩამნაცვლებელ პედაგოგს ეძლევა სათანადო ანაზღაურება. სკოლას არ ჰყავს ცალკე შემცვლელი მასწავლებელი, მოვალეობების გადანაწილება ხდება სკოლაში დასაქმებულ თანამშრომლებზე.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

3.. სკოლის პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობისა და გამჭვირვალების პრინციპების დაცვით უზრუნველყოფს. სკოლაში პერსონალის მოზიდვა ხორციელდება „მასწავლებლის საქმიანობის დაწყებისა და შეწყვეტის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 20 აგვისტოს №174/ნ ბრძანების შესაბამისად. საგნის მასწავლებლის ვაკანტური საათების შემთხვევაში ცხადდება შიდა / ღია კონკურსი, რომელიც მოიცავს ეტაპებს: 1. განაცხადების გადარჩევა, 2. შერჩეულ კანდიდატებთან გასაუბრება, 3. კონკურსის შედეგების განსაზღვრა.

სკოლაში ვაკანტურ თანამდებობებზე კონკურსის ჩატარებისა და კანდიდატის შერჩევის მიზნით, სათანადო კვალიფიკაციის მქონე პირის გამოსავლენად მოქმედი კანონმდებლობის საფუძველზე სკოლას შემუშავებული აქვს **თანამდებობრივი ინსტრუქციები**, რომელშიც განსაზღვრულია თანამშრომელთა შერჩევის წესი და საკვალიფიკაციო მოთხოვნები.

ექსპერტთა ჯგუფმა სკოლაში ვიზიტის დროს დაათვალიერა სკოლის ელექტრონული საქმისწარმოება, რაც გამართული იყო და შეესაბამებოდა მოქმედ წესებს.

სკოლაში დოკუმენტაციის დათვალიერებისას, პერსონალის პირადი საქმეების გადამოწმებისას აღმოჩნდა, რომ სკოლის პერსონალს სრულად ჰქონდა წარმოდგენილი საქართველოს კანონით ზოგადი განათლების შესახებ (მუხლი 33¹-ით პერსონალისათვის დადგენილი შეზღუდვა) განსაზღვრული ცნობები „სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთან ბრძოლის შესახებ“ და საქართველოს მთავრობის №463 დადგენილებით განსაზღვრული ცნობები „უფლების ჩამორთმევის შესახებ“, ასევე ცნობა ნასამართლობის შესახებ მასწავლებლების შემთხვევაში (საქართველოს კანონი „ზოგადი განათლების შესახებ“, მუხლი 21).

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.



4. პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობასა და დაწესებულების მიერ დადგენილ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს; სკოლას წარმოდგენილი აქვს ამონაწერი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემიდან მასწავლებელთა შესახებ. ასევე საშტატო განრიგი. წარმოდგენილია თანამშრომელთა კადრების აღრიცხვის ფურცლები. ადგილზე ვიზიტის დროს ექსპერტთა ჯგუფმა დაათვალიერა თანამშრომელთა პირადი საქმეები, დანიშვნის ბრძანებები, შრომით ხელშეკრულებები. ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა პერსონალის კვალიფიკაცია წარმოდგენილი შრომით ხელშეკრულებების და პირადი საქმეების შემთხვევითი დათვალიერების გზით.

სკოლა მასწავლებელთა შერჩევისას ხელმძღვანელობს 2019 წლის 20 აგვისტოს №174/ნ ბრძანებით დამტკიცებული „მასწავლებლის საქმიანობის დაწყებისა და შეწყვეტის წესის“ შესაბამისად, ხოლო სხვა თანამშრომელთა საკვალიფიკაციო მოთხოვნები, გაბსაზღვრულია თანამდებობრივ ინსტრუქციებში.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

5. პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს.

სკოლის მიერ წარმოდგენილი სამეურვეო და პედაგოგიური საბჭოების და კათედრების ოქმები, კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია, სკოლის ფილოსოფიისა და სტრატეგიული გეგმის შემუშავების რეგულაცია ნათელი მაგალითია იმისა, რომ სკოლაში დამკვიდრებულია მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპები. სკოლაში არის გაზიარებული ლიდერობა და სკოლის მართვა ხორციელდება უფლებამოსილების დელეგირების და თანამონაწილეობითი მართვის პრინციპებით. სკოლა“. სკოლაში ფუნქციონირებს ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფი, ასევე ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები, რომელიც ითვალისწინებს გუნდურ მუშაობას.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

6. სკოლას აქვს წარმატებული გამოცდილების აღიარებისა და გაზიარების მექანიზმი. შინაგანაწესში აღნიშნულია, რომ პროფესიულ საქმიანობაში მოპოვებული წარმატებისათვის ანდა შრომითი ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების მაღალი პროფესიონალიზმით შესრულებისთვის ანდა დიდი მოცულობის, განსაკუთრებული სირთულის ანდა მნიშვნელობის სამუშაოს შესრულებისთვის, ხანგრძლივი და კეთილსინდისიერი სამსახურისთვის ანდა საგანმანათლებლო პროცესში განსაკუთრებულად თავის გამოჩენისათვის, სკოლა უფლებამოსილია დასაქმებულის მიმართ გამოიყენოს წახალისების შემდეგი ფორმები: მადლობის გამოცხადება, სიგელით დაჯილდოება, ფასიანი საჩუქრით დაჯილდოება, ერთჯერადი (ფულადი) პრემიის გაცემა; დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომის ვადაზე ადრე მოხსნა.

- მასწავლებელთა პროფესიული განვითარება ითვალისწინებს ისეთ აქტივობებს, როგორიცაა გაკვეთილებზე დასწრება და უკუკავშირების მიცემა, კოლეგების ურთიერთდასწრება და საუკეთესო პრაქტიკის ერთმანეთისათვის გაზიარება. სკოლის სოციალურ

ქსელში ყოველთვის ხდება სასწავლო, სასკოლო თუ სხვა სახის პროექტებთან დაკავშირებული წარმატებული პრაქტიკის შესახებ გამოცდილების გაზიარება.

სკოლამ წარმოადგინა მტკიცებულება - მასწავლებელთა ურთიერთდასწრების უკუკავშირის ფორმა გამოცდილების გაზიარების დამადასტურებელი დოკუმენტები.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

რჩევა: სასურველია წარმატებული გამოცდილების გაზიარების შემთხვევები დეტალურად აისახოს წერილობითი სახით მასწავლებელთა სამუშაო ჯგუფების შეხვედრების მასალებში (მაგალითად საგნობრივი კათედრის, ხარისხის მართვის ჯგუფის, სასწავლო პროექტის განმახორციელებელი ჯგუფის და სხვა) და სკოლამ უფრო მეტად გამოიყენოს მასწავლებელთა შორის მაღალი თანამშრომლობითი კულტურის დამკვიდრებული პრაქტიკა.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- კონკურსის მასალები;
- ჩანაცვლების ჟურნალი;
- შინაგანაწესი;
- სერთიფიკატები;
- შრომითი ხელშეკრულებები;
- მასწავლებელთა ურთიერთდასწრების დოკუმენტები;

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

- ☒ შეესაბამება
- ☐ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

3.2. პერსონალის განვითარება

3.2.1. ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა ორიენტირებულია პერსონალის განვითარებაზე

1. სკოლა აქვს პერსონალის შეფასებასა და პროფესიული განვითარების საჭიროებათა დადგენის მექანიზმები;
2. პერსონალის განვითარება ხორციელდება გამოვლენილი საჭიროებების საფუძველზე შემუშავებული გეგმის შესაბამისად;
(შესაძლოა არ შეივსოს პირველად ავტორიზაციაზე)
3. სკოლა ხელს უწყობს პერსონალის კარიერულ ზრდას;
4. სკოლა უზრუნველყოფს თანამშრომლების ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან;
5. წახალისებულია პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას აქვს პერსონალის შეფასებასა და პროფესიული განვითარების საჭიროებათა დადგენის მექანიზმები; სკოლამ ვიზიტის დროს წარმოადგინა და დამატებით წარმოდგენილ დოკუმენტაციაში ატვირთა ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმის დოკუმენტი. ხარისხის უზრუნველყოფა გულისხმობს საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვასთან, განხორციელებასთან და შემდგომ მის შეფასებასთან დაკავშირებული აქტივობების გაუმჯობესებისკენ მიმართული ღონისძიებების ერთობლიობას; დოკუმენტის თანახმად სასწავლო პროცესის ხარისხის უზრუნველყოფისა და მუდმივი გაუმჯობესების მიზნით, სკოლა მუდმივად განახორციელებს სასწავლო პროგრამების განხორციელების შეფასებისა და შემდგომი გაუმჯობესების, ადამიანური რესურსის პროფესიული განვითარების ხელშეწყობისა და სკოლის მატერიალური რესურსების გაუმჯობესებას.

სკოლამ ვიზიტის დროს წარმოადგინა კათედრის მუშაობის ამსახველი დოკუმენტაცია. **სკოლაში არსებობს ურთიერთდასწრების პრაქტიკა**, სასკოლო საზოგადოების ზეპირი გამოკითხვები, რის საფუძველზეც დგინდება კონკრეტული საჭიროებები და ხდება შესაბამისი პოზიტიური უკუკავშირის მიცემა.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

2.

3. სკოლა ხელს უწყობს პერსონალის კარიერულ ზრდას.

სკოლა ზრუნავს პროფესიული განვითარებაზე, ეს მათთვის ყოველდღიური მიმდინარე პროცესია. შეფასება და უკუკავშირი დაფუძნებულია კოლეგების მხარდაჭერასა და გუნდურ მუშაობაზე, სასკოლო საზოგადოების ურთიერთობები დამყარებულია ნდობასა და მხარდაჭერაზე. სკოლა ეხმარება მასწავლებლებს განახორციელონ კარიერული წინსვლისთვის საჭირო აქტივობები. განიხილავს და იზიარებს პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებულ ინიციატივებს. პედაგოგებს აცნობს საკანონმდებლო სიახლეებს და ეხმარება შესაბამისი რესურსების მოძიებაში, მონაწილეობენ ტრენინგებში. სკოლის მასწავლებლები usaid-ის მიერ ორგანიზებულ - ლიდერი მასწავლებლების პროგრამის

ფარგლებში ჩართული არის დაწყებითი საფეხურის მასწავლებლები, რომლებიც ტრენინგზე მიღებულ ინფორმაციას სამუშაო შეხვედრებზე გადასცემენ კოლეგებს.

სკოლამ მტკიცებულების სახით წარმოადგინა მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის ცნობები სხვადასხვა ტრენინგების გავლის შესახებ. ასევე განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს სერტიფიკატების ნიმუშები.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

რჩევა: სკოლამ უნდა შეიმუშაოს მასწავლებლის გარდა სხვა პერსონალის შეფასების მექანიზმი.

4. სკოლა უზრუნველყოფს თანამშრომლების ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან, ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტი სკოლას არ წარმოუდგენია, თუმცა სკოლაში ვიზიტის დროს აღწერეს **ახალი თანამშრომლის გარემოსთან ადაპტაციის ხერხები**. ახალი თანამშრომლის სწრაფად ადაპტაციისთვის სკოლა მას აცნობს სასკოლო გარემოს, კულტურას, სკოლის საქმიანობის მარეგულირებელ დოკუმენტაციას, წარუდგენს მასწავლებლებსა და მოსწავლეებს, ამატებს საკომუნიკაციო დახურულ ჯგუფში სოციალურ ქსელში.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

5. წახალისებულია პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები. სკოლა ხელმძღვანელობს შინაგანაწესით, სადაც გაწერილია პერსონალის წახალისების ფორმები. გამოიყენება სიტყვიერი წახალისების ფორმები მოტივაციის ამაღლების მიზნით, სკოლას შინაგანაწესში გაწერილი აქვს წახალისების შემდეგ ფორმებს: მადლობის გამოცხადება, სიგელით დაჯილდოება; ერთჯერადი (ფულადი) პრემიის გაცემა.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- შინაგანაწესი;
- ურთიერთდასწრების დოკუმენტები;
- გაკვეთილზე დასწრების შემდეგ უკუკავშირები;
- კათედრის ოქმები.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*

◦ შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

- ☒ შეესაბამება
- ☐ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

3.3. პროცესების მართვა

3.3.1. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვის პოლიტიკა და პროცედურები ხორციელდება სკოლის მიერ გაცხადებული მისიისა და მიზნების შესაბამისად

1. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვა ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის შესაბამისად და ეფუძნება პროცესულ მიდგომასა და ხარისხის უზრუნველყოფის ციკლს;
2. იდენტიფიცირებულია და აღწერილია სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები;
3. სკოლაში არსებობს თანამშრომლების, მოსწავლეების/მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მიერ გადაწყვეტილებების გასაჩივრების, ასევე საჩივრების განხილვის სისტემა;
4. სკოლაში მოქმედებს პერსონალის და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმები.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვა ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების შესაბამისად და ეფუძნება პროცესულ მიდგომასა და ხარისხის უზრუნველყოფის ციკლს;

ციკლის შესაბამისად. სასწავლო წლის დასაწყისში სამეურვეო საბჭოსთან შეთანხმებით სკოლის **პედაგოგიური საბჭო ამტკიცებს სასკოლო სასწავლო გეგმას**, რომელშიც გაწერილია სკოლის მისია, მიზნები, სასწავლო პროცესის სხვა საკითხები. სკოლაში ხდება მასწავლებელთა თანამშრომლობა, უკუკავშირების გაცემა კათედრების დონეზე, საგაკვეთილო პროცესებზე დაკვირვება და სხვა პროცესები, რომლებიც ემსახურება ხარისხის უზრუნველყოფის ციკლის განვითარებას.

სკოლას არ ჰქონდა ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის დოკუმენტი, მაგრამ შესაბამისობის გეგმაში გაწერილი იყო მისი შექმნის ვადები, ვიზიტისას ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმის დოკუმენტი წარმოადგინა და დამატებით დოკუმენტაციაშიც ატვირთა.

სკოლაში ხორციელდება კურიკულუმების შემოწმება, სასწავლო პროცესში გამოყენებული მატერიალურ-ტექნიკური ბაზის უზრუნველყოფა და მოსწავლთა მხარდაჭერა. განსაზღვრულია ის მონაცემები, რომელთა მოგროვებითაც სკოლა შეძლებს საჭირო ანალიზის გაკეთებას. ასევე განსაზღვრულია რეაგირების მექანიზმები და ღონისძიებები. გათვალისწინებულია ანგარიშვალდებულების მექანიზმი.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია;

რჩევა: სასწავლო პროცესის ხარისხის უზრუნველყოფის მიზნით სკოლამ ახლადშექმნილი ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის დოკუმენტი, **გახადოს ქმედითი**, რომლის საფუძველზეც მოხდება საბოლოო შეფასება და ანალიზი, სტანდარტებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით, სკოლის ფილოსოფიის შესაბამისად.

2. იდენტიფიცირებულია და აღწერილია სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები

სკოლაში საგანმანათლებლო პროცესის მართვა ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად შემუშავებული შიდა სასკოლო დოკუმენტების მიხედვით. საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული პროცესები აღწერილია სასკოლო სასწავლო გეგმაში, სკოლა საგანმანათლებლო საქმიანობისთვის ახორციელებს როგორც მმართველობით, ძირითად, ასევე დამხმარე პროცესებს, რომლებიც იდენტიფიცირებული და აღწერილია სკოლის მიერ სხვადასხვა სამართლებრივ დოკუმენტებში (სასკოლო კურიკულუმი, სკოლის შინაგანაწესი, სასკოლო სასწავლო გეგმა, ერთწლიანი სამოქმედო გეგმა და სხვა). აღნიშნული პროცესები უზრუნველყოფს სკოლის მისიისა და სასწავლო მიზნების მიღწევას. ნათლადაა გაწერილი კონკრეტულად ვის მიერ, რა ნაბიჯების გადადგმით, რა ეტაპების გავლით ხორციელდება საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები. შინაგანაწესში და თანამდებობრივ ინსტრუქციებში, საჯარო სკოლის დებულებაში, მოცემულია სკოლის თანამშრომლების და სტრუქტურული ერთეულების/რგოლების ფუნქცია-მოვალეობები, მათი განხორციელების პროცედურები (სამეურვეო საბჭო და მისი ფუნქციები, პედაგოგიური საბჭო და მისი ფუნქციები, საგნობრივი კათედრების და კათედრის თავმჯდომარის ფუნქციები, მოსწავლეთა თვითმმართველობა და მისი ფუნქციები, დისციპლინური კომიტეტი და მისი ფუნქციები და ა.შ).

სკოლაში ადმინისტრაცია წარმოადგენს სასწავლო პროცესის ძირითად რგოლს, რომელიც აანალიზებს სწავლა-სწავლების ხარისხის შეფასებასა და მონიტორინგს. ასევე მნიშვნელოვან რგოლს წარმოადგენს საგნობრივი კათედრები, მოსწავლეთა თვითმმართველობა. **მმართველობითი პროცესები** (სკოლის ადმინისტრაციული მართვა, დირექციისა და ადმინისტრაციის ფუნქციები მართვის პროცესში, გაწერილია პასუხისმგებლობები და ანგარიშვალდებულებები), შინაგანაწესში, სასკოლო სასწავლო გეგმაში. **შრომითი ხელშეკრულებები და შინაგანაწესი აწესრიგებს** შრომითი ურთიერთობის წარმოშობას და შრომითი ურთიერთობის პირობებს (სამსახურში გამოუცხადებლობის შეტყობინების წესს, ანაზღაურებადი და ანაზღაურების გარეშე შვებულების ხანგრძლივობას და მიცემის წესს, შვებულებას ორსულობის, მშობიარობისა და ბავშვის მოვლის გამო და სხვა). **საქმისწარმოების პროცესები დარეგულირებულია** სკოლის

მიერ შემუშავებული საქმისწარმოების წესში. სკოლაში სწავლის შედეგების შეფასებისა და სისტემის ხარისხის უზრუნველყოფისათვის მოქმედებს დირექტორის ბრძანებით შექმნილი ხარისხის ჯგუფი, რომელიც საქმიანობას ახორციელებს საგანმანათლებლო საქმიანობის მონიტორინგისა და სრულყოფის მიზნით, ესწრება საგაკვეთილო პროცესებს და მასწავლებლებს აძლევს უკუკავშირს. სკოლას **წარმოსადგენი აქვს** საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესების აღწერილობა **დოკუმენტი** სრულყოფილად, თუმცა გაწერილი აქვს შესაბამისობის გეგმაში.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია;

გაიცა რეკომენდაცია სკოლამ უნდა წარმოსადგინოს საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესების აღწერილობა სრულყოფილი დოკუმენტი, შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადაში.

3. სკოლაში არსებობს თანამშრომლების, მოსწავლეების/მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მიერ გადაწყვეტილებების გასაჩივრების, ასევე საჩივრების განხილვის სისტემა;

სკოლაში თანამშრომლების, მოსწავლეების, მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მიერ გადაწყვეტილებების გასაჩივრების, ასევე საჩივრების განხილვის პროცედურები რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობით დამტკიცებული გასაჩივრების წესის შესაბამისად. **ფუნქციონირებს სამეურვეო საბჭო და დისციპლინური კომიტეტი**, სადაც დაინტერესებულ პირს შეუძლია დააფიქსიროს საკუთარი აზრი და პრეტენზია. ადგილზე მონიტორინგისა და გადმოგზავნილი დოკუმენტების თანახმად დისციპლინური კომიტეტის ან სამეურვეო საბჭოს მიერ რაიმე საკითხის განხილვის საჭიროება არ დამდგარა. **დისციპლინური წარმოების წესი** მოსწავლეებისა და თანამშრომლების მიმართ მოცემულია სკოლის შინაგანაწესში და აგრეთვე განცხადებებისა და საჩივრების განხილვის პროცედურები არის გაწერილი დირექტორის 2024 წლის 25 ივლისის №1-24 ბრძანებით დამტკიცებულ დოკუმენტში.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია;

4. სკოლაში მოქმედებს პერსონალის და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმები.

რომლებიც მკაფიოდაა გაწერილი სკოლის შინაგანაწესსა და შრომით ხელშეკრულებებში. **დამტკიცებულია შინაგანაწესი**, რომელიც განსაზღვრავს უფლებებსა და მოვალეობებს. დისციპლინური დევნა ეყრდნობა კანონმდებლობის მოთხოვნებს. **შინაგანაწესში ამოწურავადაა გაწერილი დისციპლინური გადაცდომების ნუსხა და დისციპლინური პასუხისმგებლობის სახეები**. დასაქმებულთა დისციპლინურ გადაცდომებს იხილავს სკოლის დისციპლინური კომიტეტი. მოსწავლეთა დისციპლინურ გადაცდომებს იხილავს სკოლის დირექტორი ან დისციპლინური კომიტეტი. **მშობელთან გაფორმებულია სათანადო ხელშეკრულება**, მშობლები ინფორმირებული არიან მათი კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმების შესახებ მშობელთა კრებებზე დამრიგებლების მიერ გაცემული ინფორმაციების მეშვეობით. თანამშრომელთან გაფორმებულ შრომით ხელშეკრულებებში **გათვალისწინებულია პერსონალური ინფორმაციის დაცვის მექანიზმები**. **პერსონალის კანონიერი უფლებების დაცვის მიზნით**: სკოლას შემუშავებული აქვს შინაგანაწესი, ჰყავს დისციპლინური

კომიტეტი, გამოყოფილი ჰყავს უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირი, ჰყავს ექიმი, თითოეულ კლასს ჰყავს დამრიგებელი, აქვს სასკოლო სასწავლო გეგმა. დამრიგებლები მშობლებთან/კანონიერ წარმომადგენლებთან აწყობენ საინფორმაციო ხასიათის შეხვედრებს მოსწავლეთა უფლებებისა და წესების გაცნობის მიზნით.

თანამშრომლები უფლებებისა და ვალდებულებების შესახებ ინფორმაციას იღებენ ხელშეკრულების პირობების, თანამდებობრივი ინსტრუქციების და სკოლის შინაგანაწესის გაცნობით, ადმინისტრაციისა და დირექციის მიერ ორგანიზებულ შეხვედრებზე. სკოლაში ბრძანებით განსაზღვრულია პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცერი.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- მშობელთან გაფორმებულია სათანადო ხელშეკრულებები;
- შრომითი ხელშეკრულებები;
- საქმისწარმოების წესი;
- შინაგანაწესი

3.3.2. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვაში უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების ჩართულობა

1. სკოლას აქვს მართვის პროცესებთან დაკავშირებით სასკოლო საზოგადოების ინფორმირების, უკუკავშირის მიღების და მასზე რეაგირების მექანიზმები;
2. უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების წევრების სასკოლო ცხოვრებაში/მართვის კოლეგიალურ ორგანოებში ჩართულობა.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.. სკოლას აქვს მართვის პროცესებთან დაკავშირებით სასკოლო საზოგადოების ინფორმირების, უკუკავშირის მიღების და მასზე რეაგირების მექანიზმები; სასკოლო საზოგადოების ინფორმირებას სკოლა სხვადასხვა არხითა და ინსტრუმენტის გამოყენებით უზრუნველყოფს, კერძოდ: სოც. ქსელები, მესენჯერის ჩათი, სატელეფონო კომუნიკაცა, პირისპირ შეხვედრები მშობლის დღეს, საჭიროების შემთხვევაში ინფორმირებაში მონაწილეობს საქმის მწარმოებელი. სკოლაში პერიოდულად ეწყობა მშობლებთან შეხვედრები საგანმანათლებლო პროგრამების, არჩევითი საგნების, მეორე უცხო ენის და სკოლაში დაგეგმილი სიახლეების გაცნობის მიზნით. სკოლას ასევე აქვს ვებ-გვერდი, სოციალური ქსელის ჩ გვერდი, რომელზეც განთავსდება სასწავლო პროცესთან დაკავშირებულ ნებისმიერ

სიახლესა თუ პროცედურას. ექსპერტთა ჯგუფმა ვიზიტის დროს დაათვალიერა სკოლის i სართულის ფოიეში მოწყობილი **საინფორმაციო დაფა**, რომელზეც ასახულია არაერთი ინფორმაცია სასკოლო ცხოვრებისა და სიახლეების შესახებ.

2. უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების წევრების სასკოლო ცხოვრებაში/მართვის კოლეგიალურ ორგანოებში ჩართულობა. სკოლაში კოლეგიური ორგანოებია: სამეურვეო საბჭო, დირექცია, პედაგოგიური საბჭო (ჩართულია ყველა პედაგოგი), მოსწავლეთა თვითმმართველობა, საგნობრივი კათედრები, ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფი, სტრატეგიული დაგეგმვის ჯგუფი (დაკომპლექტებული სასკოლო საზოგადოებით), მრჩეველთა საბჭო, რითაც უზრუნველყოფილია სასკოლო ცხოვრებაში ჩართვის შესაძლებლობა, მათთვის განსაზღვრული ფუნქციების ფარგლებში. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- საინფორმაციო დაფა;
- ვებ-გვერდი;
- fb გვერდი.
- ორგანოგრამა.

შეფასება:

- გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

- ☐ შეესაბამება
- ☒ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

3.4. ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება

3.4.1. სკოლაში დაცულია ადამიანების უსაფრთხოება და უზრუნველყოფილია ბიზნეს პროცესების უწყვეტობა

1. სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, რისთვისაც არსებობს: ფიზიკური უსაფრთხოების დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმი, უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, სკოლის მიმართვა უფლებამოსილ უწყებასთან შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ, უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა ან/და სსიპ - საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს მიერ გაცემული წერილობითი დასტური (სახელმწიფოს მიერ ან მისი მონაწილეობით დაფუძნებული ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შემთხვევაში);
2. სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე პირველადი დახმარების აღმოჩენას;
3. სკოლა უზრუნველყოფს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას;
4. სკოლა უზრუნველყოფს ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს;
5. სკოლა უზრუნველყოფს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვას;
6. სკოლა უზრუნველყოფს პერსონალური მონაცემების დაცვას;
7. სკოლას გააჩნია მის ხელთ არსებული ინფორმაციის დაცვის მექანიზმები;
8. სკოლა ახორციელებს ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების ფუნქციონირების პერიოდულ შეფასებას და შეფასების შედეგებს იყენებს აღნიშნული მექანიზმების გაუმჯობესებისთვის. *(შესაძლოა არ შეივსოს პირველად ავტორიზაციაზე)*

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, რისთვისაც არსებობს: ფიზიკური უსაფრთხოების დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმი, უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, სკოლის მიმართვა უფლებამოსილ უწყებასთან შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ, უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა ან/და სსიპ - საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს მიერ გაცემული წერილობითი დასტური (სახელმწიფოს მიერ ან მისი მონაწილეობით დაფუძნებული ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შემთხვევაში);

სკოლის ტერიტორიაზე უზრუნველყოფილია ფიზიკური უსაფრთხოების დაცვა, რისთვისაც სკოლის ტერიტორია ორივე მისამართზე: სოფელი ზემო მაჩხაანის და სოფელი მირზაანის სკოლის ეზოები შემოსაზღვრულია რკინის ღობით, სასკოლო დროს უსაფრთხოებასა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვაზე პასუხისმგებელ პირად განსაზღვრულია დირექტორის მოადგილე. სკოლის ძირითადი შენობა სოფელ ზემო მაჩხაანში აღჭურვილია კანონმდებლობით დადგენილი პარამეტრების შესაბამისი ვიდეოსათვალთვალო სისტემით:

შენობის გარე პერიმეტრზე და შიგნით სულ 16 ვიდეოკამერა. სკოლაში შემუშავებულია მასწავლებელთა მორიგეობის სია, რომლებიც აკონტროლებენ შესვენებების დროს სართულებს.

ხოლო სოფელ მირზაანის სკოლის შენობას არ აქვს უსაფრთხოების კამერები.

ვიზიტის დროს სკოლას არ ჰქონდა მიმართვა უფლებამოსილ უწყებასთან შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ, უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა ან/და სსიპ - საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს მიერ გაცემული წერილობითი დასტური.

თუმცა შესაბამისობის გეგმაში გაწერილიაქვს პრობლემების მოგვარება ამ მიმართულებით შემდეგნაირად, ა) უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნის მოპოვება. ბ) საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმის შეთანხმება შესაბამის უწყებასთან; გ) მიმართვა შენობა-ნაგებობის სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ დ) მირზაანის სასწავლო კორპუსში ვიდეოსამეთვალყურეო სისტემის მოწყობა. სკოლას აღნიშნული პრობლემების მოგვარება დასახული აქვს 2026 წლის 08 ივლისამდე.

აღნიშნულ პრობლემებთან დაკავშირებით სკოლამ წარმოადგინა 2023 წლის წერილი, რომელშიც დედოფლისწყაროს მერიიდან ითხოვს ზემო მაჩხაანის სასწავლო კორპუსის ექსპლუატაციაში მიღებისათვის, ვარგისად აღიარების ბრძანებას, სკოლის შენობის მდგრადობის შეფასებასთან დაკავშირებით.

მოსწავლის მიერ სკოლის გაცდენის შემთხვევაში, კლასის ხელმძღვანელი უკავშირდება მშობელს/კანონიერ წარმომადგენელს და არკვევს გაცდენის მიზეზს. უსაფრთხოების დაცვას ღამით უზრუნველყოფს დარაჯი. დაცულია გარეშე საფრთხეებისაგან. სკოლის ორივე შენობაში განთავსებულია ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარი (ცეცხლმაქრები თითოეულ სართულზე 2 ცალი დამუხტულ მდგომარეობაში). საევაკუაციო გეგმები გამოკრულია ყველა სართულზე თვალსაჩინო ადგილას.

ინდიკატორი ნაწილობრივ დაკმაყოფილებულია.

გაიცა რეკომენდაცია: სკოლამ შესაბამისობის გეგმაში გაწერილ ვადაში 08.07.2026 წლამდე მოახერხოს ა)უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნის მოპოვება.

ბ) საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმის შეთანხმება შესაბამის უწყებასთან;

გ) მიმართვა შენობა-ნაგებობის სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ

დ) მირზაანის სასწავლო კორპუსში ვიდეოსამეთვალყურეო სისტემის მოწყობა

2. სკოლაში ფუნქციონირებს დადგენილი სტანდარტის შესაბამისად აღჭურვილი სამედიცინო კაბინეტი და დასაქმებულია შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე ექიმი, რომელსაც საჭიროების შემთხვევაში შეუძლია პირველადი დახმარების აღმოჩენა. მომართვის შემთხვევაში დაუყოვნებლივ ხდება მოსწავლის მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის ინფორმირება და სასწრაფო დახმარების გამოძახება. ბავშვის

მომართვის შემთხვევაში მისი გასვლა შენობიდან ხდება ექიმის ჩართულობით - ექიმი უკავშირდება კლასის დამრიგებელს, ის მშობელს და ამის შემდეგ ხდება ბავშვის გაშვება სახლში. ასეთ შემთხვევებს ექიმი აღრიცხავს ჟურნალში.

ექსპერტთა ჯგუფმა ვიზიტის დროს დაათვალიერა ექიმის კაბინეტი. აღჭურვილია პირველადი სამედიცინო დახმარებისათვის საჭირო საშუალებებით, მათ შორის მედიკამენტებით. სკოლა აწარმოებს მედიკამენტების აღრიცხვის ფორმას.

სკოლის მოქმედი ექიმი არის დასაქმებული სკოლაში და შერჩეულია საკონკურსო წესით. სკოლამ გადასცა ექიმს პერსონალური კომპიუტერი, რომლის საშუალებითაც ექიმი ახდენს მონაცემების ელექტრონული ფორმატით დამუშავებას. სამედიცინო კაბინეტის ფუნქციონირებისას სკოლა ხელმძღვანელობს საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების სამედიცინო პერსონალის საქმიანობის სტანდარტითა და სკოლებში სამედიცინო მომსახურების სივრცის/კაბინეტის ფუნქციონირების წესით. სტანდარტის შესაბამისად, ექიმი აწარმოებს სკოლაში გაწეული სამედიცინო მომსახურების სააღრიცხვო ფორმას, სამედიცინო შემთხვევების აღრიცხვის ჟურნალს, დახარჯული მედიკამენტებისა და სამედიცინო მასალების სააღრიცხვო ფორმას.

გარდა ამისა, ექიმი პერიოდულად ატარებს შეხვედრებს და საუბრებს მოსწავლეებთან პირადი ჰიგიენის შესახებ.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

3. სკოლა უზრუნველყოფს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას; სკოლას ჰყავს ორი მანდატური, და სამეთვალყურეო კამერები, აგრეთვე მასწავლებელთა მორიგეობა, წესრიგის დარღვევისა ფაქტებზე ხორციელდება რეაგირება. სადამრიგებლო პროგრამებში გაწერილია პრევენციული ღონისძიებები, კლასი საათი, საუბრები და დისკუსიები წესრიგის დაცვაზე. ხორციელდება პროექტები, ძალადობაზე, ბულინგის შესახებ, აღნიშნული ღონისძიებების ამსახველი პლაკატები გამოკრულია სკოლის დერეფნებსა და საკლასო ოთახებში.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია .

4.. სკოლა უზრუნველყოფს ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს;

სკოლაში მოსწავლეების სწორი ქცევითი ჩვევების განვითარებაზე, ფსიქო-ემოციური მდგომარეობის ჩამოყალიბებაზე მუშაობენ დამრიგებლები. სკოლა გამოირჩევა ფსიქოლოგიურად უსაფრთხო გარემოთი, რაც გამოვლინდა გამოკითხვის შედეგად. დირექციის განცხადებით, საჭიროების შემთხვევაში, მანდატურის სამსახურის ფსოქოსოციალური სამსახურის თანამშრომელი ემსახურება სკოლას.

შენობის პირველ სართულზე, ინფორმირების მიზნით **მოწყობილია საინფორმაციო დაფა**, სადაც გამოკრულია განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ცხელი ხაზის ტელეფონის ნომერი, შინაგან საქმეთა სამინისტროს ტელეფონის ნომერი, მანდატურის სამსახურის ცხელი ხაზის ტელეფონის ნომერი, მანდატურის სამსახურის ფსიქო-სოციალური მომსახურეობის სამმართველოს ტელეფონის ნომერი, საქართველოს სახალხო დამცველის სამსახურის ცხელი ხაზის ტელეფონის ნომერი, სკოლის ფიზიკურ უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირის ტელეფონის ნომერი.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

5. სკოლა უზრუნველყოფს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვას;

სკოლას აქვს ყველა საჭირო რესურსი სანიტარულ-ჰიგიენური პირობების დასაცავად. აქ დასაქმებული დამლაგებლები, საქმიანობას ახორციელებენ ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების ფარგლებში.



დაწესებულებაში აგრეთვე ეწყობა დასუფთავების აქციები, ექიმი ხშირად ესაუბრება მოსწავლეებს ჰიგიენისა და სისუფთავის დაცვის აუცილებლობაზე. სკოლამ წარმოადგინა სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვის უზრუნველყოფისთვის საჭირო ინვენტარისა და საწმენდი მასალების შესყიდვის დოკუმენტაცია.. ამ საშუალებებით ისინი ახერხებენ სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვას. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სკოლას აქვს დიდი ტერიტორია, ეზო, რომელიც მოვლილ-მოწესრიგებულია სოფელ ზემო მაჩხაანის კორპუსის ირგვლივ. ინტერვიუთი და დოკუმენტაციით დადგინდა, რომ ეკოკლუბის მიერ განხორციელებული პროექტის ფარგლებშიც მოგვარდა გარკვეული პრობლემები. მაგრამ ვიზიტის დროს, ჯერ არდადეგების პერიოდი იყო და სრულად არ იყო მოწესრიგებული სოფელ მირზაანში მდებარე შენობის მიმდებარე ეზო.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

6. სკოლა უზრუნველყოფს პერსონალური მონაცემების დაცვას;

სკოლას ბრძანებით დანიშნული ჰყავს პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცერი, სკოლის თანამშრომლისთვის ამ ფუნქციის შეთავსების გზით და აქვს პერსონალურ მონაცემთა დაცვის წესი.

სკოლა ცდილობს რეაგირება მოახდინოს ამ კუთხით არსებულ გამოწვევებზე. კერძოდ, სოციალურ ქსელში მოსწავლეთა მიერ სხვადასხვა ინფორმაციის გავრცელების შემთხვევები ნებართვის გარეშე. სკოლა ზრუნავს მოსწავლეთა ცნობიერების ამაღლებაზე პერსონალური მონაცემების დაცვის კითხით. სასწავლო აქტივობების ამსახველი ფოტოებისა და ვიდეოების გამოქვეყნება სკოლის სოციალურ ქსელში ხდება **მშობლის თანხმობით**.

რჩევა: პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ საქართველოს კანონის 33-ე მუხლის (14.06.2023წ.) შესაბამისად . მნიშვნელოვანია, რომ სკოლამ პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურს აცნობოს სკოლაში გამოყოფილი პირის შესახებ და ეს ინფორმაცია იდება პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურის საიტზე (სკოლას შეტყობინების ვალდებულება აქვს დანიშნვიდან/განსაზღვრიდან 10 დღეში).

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

7. სკოლას გააჩნია მის ხელთ არსებული ინფორმაციის დაცვის მექანიზმები; სკოლა მიმოწერას ახორციელებს eflow მიმოწერის საშუალებით, სკოლაში ელექტრონული ჟურნალი გამოიყენება მოსწავლის აკადემიური წარმატების აღსარიცხად. ჰველა თანამშრომელს აქვს თავისი სახელი და პაროლი.

ელექტრონული ჟურნალის წარმოებზე პასუხისმგებელი პირი არის თითოეული საგნის მასწავლებელი, ხოლო მონიტორინგს ახორციელებს დირექტორის მოადგილე, ის დირექტორის ბრძანებით განსაზღვრულია ელექტრონული ჟურნალში არსებული ინფორმაციის დაცვაზე. მოსწავლეთა აკადემიური მოსწრების შესახებ მონაცემები, ინფორმაცია მოსწავლის ჯანმრთელობის შესახებ, მოსწავლის სპეციალური საჭიროების შესახებ სრულად არის დაცული. მასალები ინახება საქმისმწარმოებელთან კარადებში, რომელიც იკეტება. წინა წლის მატერიალური მასალები ინახება არქივში და მათთან წვდომა აქვს მხოლოდ საქმისმწარმოებელს. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

8.....

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარი

საინფორმაციო დაფა;

ექიმის კაბინეტი;

საევაკუაციო გეგმები

შეფასება:

- გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

- ☐ შეესაბამება
- ☐ მეტწილად შეესაბამება
- ☒ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

3.5. მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა

3.5.1. სკოლის მატერიალური რესურსი და ინფრასტრუქტურა გამოიყენება დაწესებულების მისიით განსაზღვრული მიზნების მისაღწევად და შეესაბამება არსებულ და/ან დაგეგმილ მოსწავლეთა რაოდენობას

1. სკოლა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო საქმიანობისთვის შესაბამის ინფრასტრუქტურასა და მატერიალურ რესურსს მინიმუმ ავტორიზაციის ვადითა და დადგენილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;
2. დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის;
3. სკოლა უზრუნველყოფს საბიბლიოთეკო სერვისების მიწოდებას მის მიერ დადგენილი წესის მიხედვით;
4. სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს;

5. სკოლის ინფრასტრუქტურა ემსახურება სკოლის სოციო-კულტურულ სივრცედ ჩამოყალიბებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო საქმიანობისთვის შესაბამის ინფრასტრუქტურასა და მატერიალურ რესურსს.

2020 წელს დასრულდა ზემო მაჩხაანის საჯარო სკოლის ახალი სასწავლო კორპუსის მშენებლობა. 2021 წლის თებერვლიდან სწავლა მიმდინარეობს ახალ სასწავლო კორპუსში და სოფელ მირზაანის სასწავლო კორპუსში.

ზემო მაჩხაანის საჯარო სკოლა არის ოპტიმიზირებული. (ბრძანება n448 15.09.2005წ. საფუძველზე მიუერთდა სოფ. ზემო მაჩხაანის დაწყებითი სკოლა. ბრძ. N191.15.03.2006წ. სკოლას უსასყიდლო უზუფრუქტით გადაცემული აქვს 3 არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი და შენობა. 2020 წელს დამთავრდა ახალი სკოლის მშენებლობა. მოხდა ტერიტორიაზე არსებული ძველი შენობების დემონტაჟი. ახალი სკოლის მიღება-ჩაბარების აქტი აქვთ და მიმდინარეობს შენობის რეგისტრაციის პროცესი.

ზემო მაჩხაანის სკოლის შენობა არის სამსართულიანი. სამივე სართულზე განთავსებულია 12 საკლასო ოთახი, სამასწავლებლო, საბუნებისმეტყველო, სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების და მუსიკის კაბინეტი, საინფორმაციო ტექნოლოგიების კაბინეტი, ექიმის კაბინეტი, მანდატურის ოთახი, დირექციის და ადმინისტრაციის ოთახები, ბიბლიოთეკა და საკონფერენციო დარბაზი. პირველ სართულზე მდებარეობს სასადილო, რომელსაც სკოლა იყენებს მოსწავლეთა კვების სივრცედ, თუმცა კვების ობიექტი სკოლაში ჯერჯერობით არ ფუნქციონირებს. სკოლის ეზო კეთილმოწყობილია, ეზოში არის სკამები, გარე განათება და სასიამოვნო გარემო. სკოლის უკანა ეზოში არის სტანდარტების შესაბამისი კეთილმოწყობილი ფეხბურთის მოედანი. სკოლა თბება ცენტრალური გათბობით. სკოლას აქვს 24 საათიანი წყალმომარაგება. (საკუთარი ჭაბურღილი) საკლასო ოთახები და კაბინეტები აღჭურვილის ახალი მერხებით და სასკოლო ინვენტარით.

მირზაანის ორსართულიან სასწავლო კორპუსში პირველ სართულზე არის კეთილმოწყობილი სველი წერტილები, სკოლას წყალი მიეწოდება გრაფიკით, მაგრამ შენობაში არის წყლის რეზერვუარები და სკოლა უზრუნველყოფილია წყალმომარაგებით 24 სთ. სკოლაში არის რესურსოთახი, ისტ-ის ოთახი, სამასწავლებლო და საკლასო ოთახები. სკოლაში არის ცენტრალური გათბობა.

ზემო მაჩხაანის კორპუსი შედგება სამი სართულისგან. პირველ სართულზე არის 4 საკლასო ოთახი, ერთი კაბინეტი, სასადილო სივრცე, კანცელარია, ექიმის კაბინეტი, მანდატურის ოთახი, სარეკრეაციო ზონები და 7 სველი წერტილი. მეორე სართულზე განლაგებულია 4 საკლასო ოთახი, 1 კაბინეტი, რესურსოთახი, სამასწავლებლო, სპორტული დარბაზი სველი წერტილებით, გასახდელელებით და საშხაპეებით, სარეკრეაციო ზონა და ოთხი სველი წერტილი. მესამე სართულზე არის ოთხი საკლასო ოთახი, სააქტო დარბაზი, ბიბლიოთეკა, თვითმართველობის ოთახი, ისტის კაბინეტი, სარეკრეაციო ზონა, ოთხი სველი წერტილი. სამივე სართულზე არის ჰიგიენური კვანძი დამლაგებლისათვის. სკოლას აქვს 312 მერხი სკამით. სააქტო დარბაზში არის 23 მაგიდა და 92 ოფისის სკამი.

მირზაანის სასწავლო კორპუსი შედგება ორი სართულისგან. პირველ სათულზე არის ორი საკლასო ოთახი, რესურსოთახი, სველი წერტილები, მეორე სართულზე არის ისტის კაბინეტი, სამი საკლასო ოთახი და სამასწავლებლო. 44 მერხი სკამით.

სკოლას არ აქვს ამონაწერი საჯარო რეესტრიდან, თუმცა გაწერილი აქვს ამ პრობლემის მოგვარება შესაბამისობის გეგმაში და მის მოსაგვარებლად ვადა აქვს 08. 07. 2026 წლამდე .

ინდიკატორი ნაწილობრივ დაკმაყოფილებულია.

გაიცა რეკომენდაცია: სკოლამ შესაბამისობის გეგმით გაწერილ ვადაში 08. 07. 2026 წლამდე წარმოადგინოს განახლებული ამონაწერი საჯარო რესტრიდან.

2.. დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის;

ზემო მაჩხაანის მოსწავლეებისთვის სკოლაში არსებობს რეკრეაციული სივრცე, დერეფანი, დიდი ეზო, ბიბლიოთეკა, კომპიუტერული კლასი, სპორტდარბაზი, სპორტული მოედანი, რესურსოთახი სხვა მოსწავლეებთან ან მასწავლებლებთან კომუნიკაციისთვის. სკოლის ბიბლიოთეკით, კომპიუტერული ლაბორატორიით, სპორტული დარბაზით სარგებლობის საშუალება აქვს სასკოლო საზოგადოების წევრებს. სკოლას შშმ პირთათვის აქვს ადაპტირებული საფირფარეშოც, პანდუსიც და ლიფტიც.

სოფელ მირზაანის კორპუსის მოსწავლეებისთვის სკოლაში არსებობს: დიდი ეზო, ბიბლიოთეკა, კომპიუტერული კლასი, სპორტდარბაზი, სპორტული მოედანი, რესურსოთახი, მასწავლებლებს სხვა კლასის მოსწავლეებთან კომუნიკაციისთვის. სკოლის ბიბლიოთეკით, კომპიუტერული ლაბორატორიით, სპორტული დარბაზით სარგებლობის საშუალება აქვს სასკოლო საზოგადოების წევრებს. სკოლას შშმ პირთათვის აქვს ადაპტირებული საფირფარეშო და პანდუსი. არ არის მეორე სართულზე შშმ პირთათვის შეღწევის საშუალება, პანდუსი/ლიფტი.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

რჩევა: სოფელ მირზაანის კორპუსისთვის მოგვარდეს შშმ პირთათვის მეორე სართულზე შეღწევის პრობლემა.

3. სკოლა უზრუნველყოფს საბიბლიოთეკო სერვისების მიწოდებას მის მიერ დადგენილი წესის მიხედვით;

სკოლის ბიბლიოთეკაში განთავსებულია სასკოლო სასწავლო გეგმით გათვალისწინებული საგნების სახელმძღვანელოები ყველა კლასის, დამხმარე და მხატვრული ლიტერატურა, კედელზე განთავსებულია ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი.

სკოლა უზრუნველყოფს საბიბლიოთეკო სერვისების მიწოდებას დადგენილი წესის მიხედვით. სკოლას აქვს ბიბლიოთეკა, სადაც უზრუნველყოფილია მოსწავლეებისა და მასწავლებლებისთვის სამუშაო გარემო; აღჭურვილია შესაბამისი ინვენტარით (მაგიდა, სკამები, წიგნის თაროები და კარადები, კომპიუტერი, სახელმძღვანელოები, კლასგარეშე და მეთოდური ლიტერატურა). მხატვრული ლიტერატურა დალაგებულია ანბანის მიხედვით; გამოკრულია სამკითხველო სივრცეში ქცევის წესები, წიგნებს აქვს ჯიბაკები, ნომერი და ბეჭედი. ბიბლიოთეკარი აწარმოებს წიგნების გაცემისა და დაბრუნების აღრიცხვას სპეციალურ ჟურნალში. სკოლის ბიბლიოთეკაში შექმნილია ელექტრონული კატალოგი.

ვიზიტის დროს ექსპერტთა ჯგუფმა დაათვალიერა სკოლის ბიბლიოთეკა და გაესაუბრა ბიბლიოთეკარს. ბიბლიოთეკაში ძირითადად ახალი წიგნადი ფონდია (მხატვრული და შემეცნებითი, ამავე დროს სამეცნიერო წიგნები). ბიბლიოთეკარი აწარმოებს წიგნების აღრიცხვას მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნების დაცვით, აქვს სათანადო კატალოგი.

მირზაანის სასწავლო კორპუსს არ აქვს ბიბლიოთეკა, სკოლას ემსახურება ტრანსპორტი, რომლი საშუალებითაც მირზაანის სასწავლო კორპუსის მოსწავლეები სარგებლობენ ზემო მაჩხაანის ბიბლიოთეკით.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია..

4. სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს;

სკოლაში უზრუნველყოფილია ინკლუზიური განათლების განხორციელებისთვის საჭირო პირობები. სკოლის ადმინისტრაცია მუდმივად ცდილობს შეიქმნას ინკლუზიური გარემო როგორც ინფრასტრუქტურის მოწესრიგებით, ასევე შესაბამისი რესურსებით უზრუნველყოფით. სკოლის შესასვლელში დამონტაჟებულია თანამედროვე სტანდარტებისა და შესაბამისი დახრილობის მქონე, მოაჯირიანი პანდუსი. სსსმ მოსწავლეებისათვის მოწყობილია ადაპტირებული სველი წერტილი ყველა სართულზე; დამონტაჟებულია ლიფტი, რაც უზრუნველყოფს ყველა საჭირო სივრცით სარგებლობას. რესურს ოთახი აღჭურვილია ინვენტარითა და საგანმანათლებლო რესურსებით. სკოლის ბიბლიოთეკა, სპორტული დარბაზი, სააქტო დარბაზი, ლაბორატორიები, ეზო ხელმისაწვდომია სსსმ მოსწავლეთათვის. სკოლის დირექცია მუდმივად ზრუნავს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეებისთვის საჭირო ყველა ტიპის რესურსის შევსებასა და განახლებაზე.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

5. სკოლის ინფრასტრუქტურა ემსახურება სკოლის სოციო-კულტურულ სივრცედ ჩამოყალიბებას.

სკოლის ინფრასტრუქტურა: სკოლის ეზო, სპორტული მოედანი, ბიბლიოთეკა ქმნის შესაძლებლობას, მოსწავლეებმა სკოლის ბაზაზე განახორციელონ სოციალური, კულტურული, სპორტული და შემეცნებითი აქტივობები, საინტერესო პროექტები, მოაწყონ შეხვედრები ერთმანეთთან, სასკოლო საზოგადოებისა და თემის სხვა თანატოლ თუ ზრდასრულ წარმომადგენლებთან მათთვის საინტერესო ადამიანებთან.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები

- მიღება ჩაბარების აქტები;
- შეფასება:
- ბიბლიოთეკით სარგებლობის წესები;



- კომპიუტერული ლაბორატორიით სარგებლობი წესები;
- ახალი შენობის პროექტი
- დაწყებითი სკოლის ამონაწერი საჯარო რეესტრიდან;
- გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

- ☐ შეესაბამება
- ☐ მეტწილად შეესაბამება
- ☒ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

3.6. საინფორმაციო რესურსები

3.6.1. სკოლის ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელს უწყობს მისი ძირითადი საქმიანობის განხორციელებას

1. ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესის სრულფასოვან წარმართვას;
2. ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელმისაწვდომია მოსწავლეებისა და პერსონალისათვის სკოლის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესის სრულფასოვან წარმართვას;

სკოლაში ვიზიტის დროს დავათვალიერეთ და დავასურათეთ სკოლის ორივე შენობის ლაბორატორიები. ზემო მაჩხაანის სკოლას აქვს საინფორმაციო ტექნოლოგიების კაბინეტი ინტერნეტში ჩართული 19 კომპიუტერით, რომლითაც სარგებლობენ მასწავლებლები და მოსწავლეები. ბიბლიოთეკაში არის ინტერნეტში ჩართული 1 მაგიდის კომპიუტერი. სამასწავლებლოში არის ინტერნეტში ჩართული 5 კომპიუტერი, პრინტერი. რესურსოთახში 2 პერსონალური კომპიუტერი, პროექტორი, პრინტერი. საბუნებისმეტყველო მეცნიერების კაბინეტში არის ინტერნეტში ჩართული 1 კომპიუტერი. ექიმის ოთახი აღჭურვილია ინტერნეტით, პრინტერით და კომპიუტერით.

მანდატურის ოთახში დგას ინტერნეტში ჩართული კომპიუტერი და პრინტერი. დირექტორის კაბინეტში, კანცელარიაში და ადმინისტრაციის ოთახში არის 8 კომპიუტერი, 4 პრინტერი, პროექტორი. საკლასო ოთახებში და კაბინეტებში არის ინტერნეტი. მასწავლებლები და მოსწავლეები საჭიროების შემთხვევაში სასწავლო პროცესში იყენებენ სკოლის ლეპტოპებს და პროექტორს. ახალი სასწავლო წლიდან ყველა კლასს და კაბინეტს ექნება ინტერნეტში ჩართული ლეპტოპი. (სკოლას სსიპ საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს მიერ გადმოეცა 40 პორტაბელური კომპიუტერი და 2 მრავალფუნქციური პრინტერი) მირზაანის სასწავლო კორპუსში არის ინტერნეტი. სამასწავლებლოში არის კომპიუტერები და პრინტერი. სკოლაში ფუნქციონერებს საინფორმაციო ტექნოლოგიების კაბინეტი, რომელშიც ჩართულია 4 პერსონალური კომპიუტერი და 3 ლეპტოპი.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია..

2 ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელმისაწვდომია მოსწავლეებისა და პერსონალისათვის სკოლის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად. დღის ნებისმიერ მონაკვეთში, როგორც საგაკვეთილო პროცესის დროს, ასევე გაკვეთილების შემდეგ და არასასწავლო დღეებშიც სკოლაში შექმნილია საზიარო სივრცეები მასწავლებლებისთვის: სამასწავლებლო, სკოლის ბიბლიოთეკა, კომპიუტერული ლაბორატორია. სკოლის ბიბლიოთეკა არის ის სივრცე, სადაც მოსწავლეებსა და მასწავლებლებს შეუძლიათ ერთობლივად მუშაობა. მასწავლებლები სარგებლობენ კომპიუტერული ტექნიკით - სამასწავლებლოში, სადაც გამოყოფილია ახალი სკოლის მოდელის ფარგლებში მიღებული ლეპტოპები. მასწავლებლებისათვის განკუთვნილ ტექნიკაზე პასუხისმგებელი პირია სკოლის ინფომენჯერი. მასწავლებლებს საგაკვეთილო პროცესში შეუძლიათ პროექტორების გამოყენება.

სასკოლო საზოგადოება ერთმანეთთან საკომუნიკაციოდ იყენებს ელექტრონულ ფოსტას, ვეიბუქ-ჯგუფებს, teams-ის, zoom-ს, სკოლის ორივე შენობა უზრუნველყოფილია ინტერნეტიტით და კომპიუტერებით. სკოლას აქვს 40 კომპიუტერი მუშა მდგომარეობაში, პროექტორი, 7 პრინტერი. 10 კომპიუტერი, 2 პრინტერი და 2 პროექტორი (ერთი დაზიანებულია.)

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- მიღება ჩაბარების აქტები;
- სკოლაში შექმნილია საზიარო სივრცეები

3.6.2. სკოლაში საქმისწარმოება მიმდინარეობს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად

1. სკოლაში მოქმედებს კანონმდებლობის შესაბამისი საქმისწარმოების წესი;
2. სკოლის მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, მათ შორის დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემა;
3. სკოლას აქვს სრულყოფილი პროფილი ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში; *(შესაძლოა არ შეივსოს პირველად ავტორიზაციაზე)*
4. სკოლა დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელ უწყებებს და თანამშრომლობს მათთან. *(შესაძლოა არ შეივსოს პირველად ავტორიზაციაზე)*

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლაში მოქმედებს კანონმდებლობის შესაბამისი საქმისწარმოების წესი

სკოლაში მოქმედებს კანონმდებლობის შესაბამისი **საქმისწარმოების წესი**. დირექტორის ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით დამტკიცებულია საქმისწარმოების დებულება აღნიშნული წესი ადგენს ერთიან მოთხოვნებს სკოლის მმართველობით საქმიანობასთან დაკავშირებული დოკუმენტბრუნვის,

ექსპერტთა ჯგუფმა ვიზიტის დროს დაათვალიერა საქმისწარმოების დოკუმენტაცია და ელექტრონული დოკუმენტბრუნვის სისტემა. სკოლაში იწარმოება **ბრძანებების სარეგისტრაციო ჟურნალი**, საერთო და საკადრო ბრძანებები გამიჯნულია ერთმანეთისაგან და აქვს სხვადასხვა ინდექსი. **შრომითი ხელშეკრულებების სარეგისტრაციო ჟურნალი**. ჟურნალები აკინძულია, ზონარგაყრილია, დანომრილია, დალუქულია და დამოწმებულია სკოლის ბეჭდითა და დირექტორის ხელმოწერით, რითაც უზრუნველყოფილია მათი სანდოობა და მთლიანობა. სკოლის ყველა აქტი და ოფიციალური წერილი ფორმდება სკოლის მიერ შემუშავებულ სატიტულო ფურცელზე. სკოლა იყენებს ელექტრონული დოკუმენტბრუნვის და ელექტრონული ხელმოწერის სისტემას, **"eflow"-სა და eschool-ის ბაზებს**. სკოლა ელექტრონულად ახორციელებს მოსწავლეთა მობილობის და სტატუსის შეჩერების პროცედურებს. სკოლას მტკიცებულების სახით წარმოდგენილი აქვს **მოსწავლის კლასში ჩარიცხვისა და კლასიდან ამორიცხვის ბრძანების ნიმუშები**, რომლის საფუძველშიც მითითებულია მშობლის განცხადება ან/და შესაბამისი სკოლის მოთხოვნა. სკოლაში კანონმდებლობით დადგენილი ვადითა და წესით ინახება დასაქმებულთა და მოსწავლეთა პირადი საქმეები. ასევე, სკოლაში იწარმოება ბუღალტრული დოკუმენტაცია. დირექტორის ბრძანებით განსაზღვრულია საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირი - საქმისმწარმოებელი.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

2. სკოლის მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, მათ შორის დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემა;

სკოლის მართვაში აქტიურად გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები. სკოლის ორივე კორპუსს აქვს ინტერნეტი და ელექტრონული ხელმოწერისთვის საჭირო მოწყობილობა. სკოლის დირექციას საშუალებას აძლევს მართვისთვის გამოიყენოს თანამედროვე ტექნოლოგიები - დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემა - eflow, eschool,

კანცელარიაში დამონტაჟებულია კომპიუტერი, რომელსაც საქმისწარმოების დროს იყენებს სკოლის საქმისმწარმოებელი. სკოლაში მოქმედებს eflow-ს სისტემა, სადაც ხდება ყოველი შემოსული და გასული დოკუმენტაციის გატარება, ასევე, იტვირთება დირექტორის თითოეული ბრძანება, წერილები, განცხადებები, სამსახურებრივი ბარათები. ასევე, მოქმედებს eschool-ის ელექტრონული სისტემა, სადაც ხდება სკოლის მოსწავლეთა და მასწავლებელთა შესახებ მონაცემების ასახვა, მოსწავლეთა მობილობის პროცესის განხორციელება და ა.შ. eschool-ის სისტემაში ასახულია სკოლაში დასაქმებული ყველა თანამშრომელი.

ადგილზე ვიზიტის დროს eschool-იდან ექსპერტთა მიერ ამოღებულ იქნა თანამშრომელთა და მასწავლებელთა მონაცემები. ამასთანავე, სკოლაში მოქმედებს სკოლის ოფიციალური ელექტრონული ფოსტა, რომლის საშუალებითაც ხდება ინფორმაციების გაცვლა. სკოლას აქვს სოციალური ქსელი - ოფიციალური facebook გვერდი. სკოლაში იწარმოება ელექტრონული ჟურნალი, ასევე, მასწავლებლები და თანამშრომლები საკომუნიკაციოდ იყენებენ teams პლატფორმას, სადაც ტარდება თანამშრომელთა ონლაინ სამუშაო შეხვედრები. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

3.....

4.....

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- საქმისწარმოების წესი;
- eflow-ს სისტემა;
- facebook გვერდი
- teams პლატფორმა
- eschool-ის ელექტრონული სისტემა

3.6.3. სკოლა მიზნობრივად წარმართავს საზოგადოებასთან ურთიერთობას

1. სკოლა ახორციელებს საზოგადოების ინფორმირებას და კომუნიკაციას ოფიციალური ვებ გვერდისა/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდისა და სხვა საკომუნიკაციო არხების საშუალებით;
2. სკოლა უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას;



3. საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხით მიღებულ უკუკავშირის სკოლა იყენებს საკუთარი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად. *(შესაძლოა არ შეივსოს პირველად ავტორიზაციაზე)*
4. სკოლას აქვს მოქმედი ვებ გვერდი/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდი, რომელზეც განთავსებულია ინფორმაცია ქართულ ენაზე, ასევე იმ ენაზე, რომელზეც ახორციელებს სწავლებას;
5. ვებ გვერდი/ვებ გვერდის შესაბამისი გვერდი შეიცავს შემდეგ ინფორმაციას სკოლის შესახებ: მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, პროგრამ(ებ)ის სახელწოდებები, ამ პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურები და მისანიჭებელი კვალიფიკაცია (განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი), სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები, ფინანსური მდგრადობის შესახებ ანგარიში, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები და საკონტაქტო ინფორმაცია.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლა ახორციელებს საზოგადოების ინფორმირებას და კომუნიკაციას ოფიციალური ვებ გვერდისა/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდისა და სხვა საკომუნიკაციო არხების საშუალებით;

სკოლა საზოგადოების წინაშე წარადგენს საჯარო ინფორმაციას და აქვეყნებს სასკოლო სიახლეებს სოციალური ქსელის, fb გვერდის საშუალებით. აღნიშნულ გვერდზე მუდმივად ქვეყნდება ინფორმაციები სასკოლო საქმიანობის, საგანმანათლებლო პროგრამების, სიახლეებისა და განხორციელებული აქტივობების შესახებ. ეს ინფორმაცია არის საჯარო და ხელმისაწვდომი ყველა დაინტერესებული პირისთვის. სკოლა ინფორმაციას ასევე ავრცელებს ონლაინ სივრცეში შექმნილი ჯგუფების საშუალებით, მოსწავლეთა მშობლებს აქვთ წვდომა ელექტრონულ ჟურნალთან. ეცნობიან მასწავლებელთა კომენტარებს. ინფორმაციის გაზიარება ხდება დამრიგებლების მიერ მშობელთა კრებებზე. სკოლამ წარმოადგინა მშობელთა კრებების ოქმების ნიმუშები რომელთა დღის წესრიგიც შეიცავს შემდეგ საკითხებს: სკოლის შინაგანაწესის და სასკოლო გეგმის გაცნობა, სადამრიგებლო პროგრამის გაცნობა. ოქმს ახლავს დანართი მშობლების ხელმოწერებით. სკოლას აქვს მოქმედი ვებ-გვერდი.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

2.. სკოლა უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას;

სკოლის მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, მათ შორის დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემა; დოკუმენტბრუნვა წარმოებს eflow-ს, mes.gov.ge-ს და gmail.com-ს საშუალებით. სკოლა უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას;

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

3.....

4 სკოლას აქვს მოქმედი ვებ გვერდი/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდი, რომელზეც განთავსებულია ინფორმაცია ქართულ ენაზე, ასევე იმ ენაზე, რომელზეც ახორციელებს სწავლებას;

სკოლას აქვს საკუთარი ვებ-გვერდი , <https://bit.ly/3xxzx8p> რომელიც ქართულ ენაზეა. ვებგვერდი ფუნქციონირებს და მასზე განთავსებულია სკოლის საქმიანობის ამსახველი ინფორმაციები.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

5 ვებ გვერდი/ვებ გვერდის შესაბამისი გვერდი შეიცავს შემდეგ ინფორმაციას სკოლის შესახებ: მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, პროგრამ(ებ)ის სახელწოდებები, ამ პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურები და მისანიჭებელი კვალიფიკაცია (განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი), სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები, ფინანსური მდგრადობის შესახებ ანგარიში, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები და საკონტაქტო ინფორმაცია.

სკოლის ვებგვერდი შექმნილია, ვიზიტის დროს იყო ტექნიკური ხარვეზი და მასზე ვერ ახორციელებდნენ ინფორმაციის განთავსებას. ამჟამად ვებგვერდზე უკვე განთავსებულია მისია, ხედვა და ღირებულებები.

რჩევა: სკოლამ უზრუნველყოს სრულყოფილად საჭირო დოკუმენტაციის განთავსება.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

სკოლის პორტალი: <https://bit.ly/3xxzx8p>

სკოლის სოც. გვერდი: <https://www.facebook.com/profile.php?id=100046776347524&mibextid=lqqj4d>

შეფასება:

- გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

- ☒ შეესაბამება
- ☐ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

3.7. ფინანსური რესურსები

3.7.1. სკოლა ფინანსურად მდგრადია

1. სკოლის ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია სამოქმედო გეგმის განხორციელება;
2. სკოლას აქვს ფინანსური რესურსების მართვის (დაგეგმვის, განკარგვის, მონიტორინგის და ა.შ.) სისტემა.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია სამოქმედო გეგმის განხორციელება; სკოლის ფინანსურ რესურსს ძირითადად შეადგენს მოსწავლეთა **ვაუჩერული დაფინანსება**, სკოლის ექიმის თანამდებობრივი სარგო, სსსმ მოსწავლის დაფინანსება, მასწავლებლების კუთვნილი დანამატი და არასაბიუჯეტო შემოსავალი (ბანკის სარგებელი). ფინანსური რესურსი მიმართულია სკოლის სამოქმედო გეგმის განსახორციელებლად, რომელიც წინასწარ დაგეგმილია შესყიდვების გეგმის სახით. **შესყიდვების განკარგვა ხდება საჭიროებების მიხედვით.** კერძოდ, შესყიდვების მომზადებისას სკოლა თვითაღონო განსაზღვრავს სავარაუდო შემოსავლებს, მომდევნო წლის პრიორიტეტებს, სავარაუდო ხარჯებს, რომელსაც ადგენს წინა წლის 20 ნოემბრამდე და შესაბამისი ბრძანების თანახმად განათავსებს შესყიდვების სააგენტოს გვერდზე.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

2. სკოლას აქვს ფინანსური რესურსების მართვის (დაგეგმვის, განკარგვის, მონიტორინგის და ა.შ.) სისტემა.

სკოლის ფინანსური რესურსების მართვას ახორციელებს სკოლის ბუღალტერი. სახელმწიფო შესყიდვების გეგმა მუშავდება და მტკიცდება ბრძანებით. დამტკიცების შემდეგ, 20 ნოემბრამდე გეგმა იტვირთება სახელმწიფო შესყიდვების საიტზე. გეგმის შედგენისას შეძლებისდაგვარად გათვალისწინებულია სკოლის ადმინისტრაციის, კათედრების, დამრიგებლების, მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის კოორდინატორის მიერ მოწოდებული ინფორმაციის საფუძველზე. შესყიდვების გეგმის შედგენა ხდება ბაზრის კვლევის, წინა წლების გამოცდილების, ინვოისების გამოთხოვის საფუძველზე. შესყიდვები ხორციელდება ხელშეკრულების შესაბამისად.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის ბიუჯტი;
- დირექტორის ანგარიში ფინანსური და სასწავლო პროცესის;
- ბრძანება n2-61 შესყიდვების წლიური გეგმის დამტკიცება;
- ბრძანება n2-36 სახ. შესყ. პასუხისმგებელი პირის განსაზღვრა;

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

- ☒ შეესაბამება
- ☐ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

4. მოსწავლეთა მხარდაჭერა

4.1. მოსწავლეთა უფლებების დაცვა

4.1.1. მოსწავლეთა უფლებები და კანონიერი ინტერესები დაცულია

1. სკოლის შიდა რეგულაციებით ხორციელდება მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვისა და გარანტიების უზრუნველყოფა;
2. მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვის სასკოლო რეგულაციები გამჭვირვალეა და გაზიარებულია სასკოლო საზოგადოებასთან;
3. მოსწავლესთან/მის კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებულია კანონმდებლობის შესაბამისი გამჭვირვალე და მკაფიო ხელშეკრულება.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის შიდა რეგულაციებით ხორციელდება მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვისა და გარანტიების უზრუნველყოფა;

სკოლას შემუშავებული აქვს შინაგანაწესი, რომელიც გამოკრულია თვალსაჩინო ადგილას - პირველი სართულზე, ცენტრალურ ადგილას. შინაგანაწესი მოიცავს მოსწავლის კანონით გათვალისწინებულ უფლებებს, დისციპლინური გადაცდომის შემთხვევაში

პასუხისმგებლობის სახეებსა და მოსწავლეთა წახალისების ფორმებს. ასევე, შინაგანაწესით განისაზღვრება მოსწავლეთა ჩაცმულობის წესი, რომლის მიხედვითაც, მოსწავლის სამოსი უნდა იყოს სადა და სასკოლო გარემოს შესაბამისი.

სასკოლო სასწავლო გეგმა მოიცავს სადამრიგებლო პროგრამას, რომელიც განსაზღვრავს დამრიგებლის ფუნქციებს. აღნიშნული დოკუმენტის მიხედვით, დამრიგებელი ვალდებულია, მოსწავლეს/მშობელს/კანონიერ წარმომადგენელს გააცნოს შინაგანაწესი, მოსწავლის ეთიკის კოდექსი და სხვა სკოლაში მოქმედი მარეგულირებელი აქტები.

სკოლა მშობელთან/კანონიერ წარმომადგენელთან აფორმებს ხელშეკრულებას, რომელიც არეგულირებს მოსწავლის, მისი მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის ურთიერთობას. ხელშეკრულებაში მითითებულია მხარეთა უფლებები და ვალდებულებები. სკოლამ წარმოადგინა სადამრიგებლო პროგრამების ნიმუშები და დაადასტურა, რომ აღნიშნული პროგრამები, შედგენილი იყო მოსწავლეთა ასაკობრივი თავისებურებებისა და კლასის საჭიროების გათვალისწინებით.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

2. მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვის სასკოლო რეგულაციები გამჭვირვალეა და გაზიარებულია სასკოლო საზოგადოებასთან;

სკოლის შინაგანაწესი შემუშავებულია და სასკოლო საზოგადოების ინტერესებისა და საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის გათვალისწინებით. სკოლის შინაგანაწესი გამოკრულია ყველასთვის თვალსაჩინო ადგილას - პირველ სართულზე, დერეფანში, სკოლის საინფორმაციო დაფაზე. თითოეული მოსწავლის მშობელთან/კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებულია ხელშეკრულება, რომელშიც გაწერილია შინაგანაწესის შესაბამისი მუხლები. გარდა ამისა, სასკოლო სასწავლო გეგმაში გაწერილი დამრიგებლის ვალდებულებებიდან გამომდინარე, თითოეული კლასის დამრიგებელი ვალდებულია, რომ მოსწავლეებს და მათ მშობლებს/კანონიერ წარმომადგენლებს გააცნოს შინაგანაწესი.

სკოლას შემუშავებული აქვს განცხადების/საჩივრის განხილვის პროცედურა, რაც უზრუნველყოფს მოსწავლეთა უფლებების დაცვას. ამ და სხვა დოკუმენტებში გვხვდება მუხლი, რომელიც პერსონალურ მონაცემთა დაცვას ეხება. ვიზიტის დროს, სკოლას მიეცა რჩევა პერსონალურ მონაცემებზე პასუხისმგებელი პირის დანიშვნის აუცილებლობასთან დაკავშირებით.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

3. მოსწავლესთან/მის კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებულია კანონმდებლობის შესაბამისი გამჭვირვალე და მკაფიო ხელშეკრულება.

„ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის საფუძველზე, სკოლა მოსწავლის მშობელთან/კანონიერ წარმომადგენელთან აფორმებს ხელშეკრულებას, რომელშიც გაწერილია შინაგანაწესის შესაბამისი მუხლები, მხარეთა ვალდებულებები და უფლებები. ხელშეკრულების ერთ-ერთი მუხლი ეხება სასწავლო აქტივობების ამსახველი ფოტო-ვიდეო მასალის სოციალურ ქსელში განთავსებას,

მშობელს/კანონიერ წარმომადგენელს საშუალება აქვს ხელმოწერით დაეთანხმოს აღნიშნულ პუნქტს, ან ამ პუნქტზე თანხმობის გარეშე გააფორმოს ხელშეკრულება.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- შინაგანაწესი;
- სასკოლო სასწავლო გეგმა;
- მშობელთან დადებული ხელშეკრულება;
- განცხადების/საჩივრის განხილვის წესი;
- პერსონალურ მონაცემთა დაცვის წესი..
-

4.1.2. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო მექანიზმები

1. სკოლას განსაზღვრული აქვს მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო კანონმდებლობის შესაბამისი მექანიზმები;
2. სკოლა იცავს მოსწავლის ჩარიცხვისა და საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის მექანიზმებს; *(შესაძლოა არ შეივსოს პირველად ავტორიზაციაზე)*
3. სკოლის მიერ განსაზღვრული მომსახურების სახეების, პირობების, პროგრამების და მათი სპეციფიკის, მომსახურებისათვის დადგენილი საფასურების (არსებობის შემთხვევაში), სკოლის შიდა პოლიტიკის და მოსწავლის მოსალოდნელი ქცევის შესახებ ინფორმაცია საჯაროდაა ხელმისაწვდომი;
4. სკოლის ან მისი პერსონალის მიერ გავრცელებული ინფორმაცია პროგრამების, სერვისების, აქტივობების, რესურსების შესახებ არის კანონმდებლობის შესაბამისი, გამჭვირვალე, განახლებული და არადისკრიმინაციული.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას განსაზღვრული აქვს მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო კანონმდებლობის შესაბამისი მექანიზმები;

სკოლაში მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის შესახებ გადაწყვეტილებები მიიღება მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით. კერძოდ, სკოლა ეყრდნობა „ზოგადი განათლების შესახებ“ კანონის 43-ე მუხლს, მინისტრის 2007 წლის №675 ბრძანებას, 2017 წლის № 04/ნ ბრძანებას და 2016 წლის 40/ნ ბრძანებას და ისე ახორციელებს მოსწავლეთა ჩარიცხვას, მობილობას, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის პროცედურებს.



სკოლამ წარმოადგინა ბრძანების ნიმუშები სკოლაში მოსწავლის ჩარიცხვის, სტატუსის აღდგენისა და საფეხურის დასრულების დამადასტურებელი დოკუმენტები.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

2. ----- არ ივსება პირველად ავტორიზაციაზე.

3. სკოლის მიერ განსაზღვრული მომსახურების სახეების, პირობების, პროგრამების და მათი სპეციფიკის, მომსახურებისათვის დადგენილი საფასურების (არსებობის შემთხვევაში), სკოლის შიდა პოლიტიკის და მოსწავლის მოსალოდნელი ქცევის შესახებ ინფორმაცია საჯაროდაა ხელმისაწვდომი;

სკოლის საინფორმაციო დაფაზე გამოკრულია შინაგანაწესი, რომელიც ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების ნებისმიერი წევრისთვის. სკოლა აქტიურად თანამშრომლობს მშობლებთან და ამ პროცესში, ყველაზე დიდი როლი ეკისრება დამრიგებელს, რომელიც ვალდებულია მოსწავლეთა მშობლებს/კანონიერ წარმომადგენლებს, მიაწოდოს ინფორმაცია მოსწავლის შესახებ. მოსწავლეებსა და მშობლებს გააცნოს სკოლის შინაგანაწესი და სხვა სკოლაში მოქმედი რეგულაციები. გარდა ამისა, მშობელთა/კანონიერ წარმომადგენელთა ინფორმირებისთვის, სკოლა გეგმავს და ახორციელებს პირისპირ შეხვედრებს - როგორც ინდივიდუალურს, ისე ჯგუფურს. აგრეთვე აღნიშნეს, რომ ხორციელდება სატელეფონო კომუნიკაცია, ელექტრონული ჟურნალისა და სოციალურ ქსელების საშუალებით კომუნიკაცია.

ნებისმიერ დაინტერესებულ პირს, შეუძლია მივიდეს სკოლაში, გაიაროს რეგისტრაცია და მოითხოვოს პირობების, პროგრამებისა და სკოლაში მოქმედი რეგულაციების შესახებ საჯარო ინფორმაცია.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

4. სკოლის ან მისი პერსონალის მიერ გავრცელებული ინფორმაცია პროგრამების, სერვისების, აქტივობების, რესურსების შესახებ არის კანონმდებლობის შესაბამისი, გამჭვირვალე, განახლებული და არადისკრიმინაციული.

სკოლაში არსებული პროგრამების, სერვისების, აქტივობებისა და რესურსების შესახებ ინფორმაცია ზიარდება სასკოლო თემში სკოლა ინფორმაციის გასაზიარებლად იყენებს საინფორმაციო დაფას, სოციალური ქსელის გვერდსა და სოციალურ ქსელში არსებულ დახურულ ჯგუფებს, რომლებსაც მართავენ კლასის დამრიგებლები. სკოლა ვალდებულია იღებდეს, რომ ეს ინფორმაცია იყოს კანონმდებლობის შესაბამისი, გამჭვირვალე, განახლებული და არადისკრიმინაციული. სკოლა მოსწავლეებს სთავაზობს უფასო ტრანსპორტირებას, რაც ხელმისაწვდომია ყველა მსურველისთვის.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.



დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სასკოლო სასწავლო გეგმა;
- ტრანსპორტირების ტაბელი;
- სკოლის ფოტოები;
- ბრძანება სტატუსის აღდგენის შესახებ;
- ბრძანება საფეხურის დამლევის შესახებ;
- ბრძანება პირველ კლასში ჩარიცხვის შესახებ;
- შინაგანაწესი

შეფასება:

o გთხოვთ, ასახოთ შეფასება.

o შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

☒ შეესაბამება

- ☐ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

4.2. მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები

4.2.1. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა აკადემიური და ადმინისტრაციული მხარდაჭერის მომსახურება

1. სკოლას აქვს მოსწავლის სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის ხელშეწყობი მექანიზმი;
2. სკოლა სწავლის დაწყების მომენტიდან ხელს უწყობს მოსწავლეთა ადაპტაციას სასწავლო გარემოსთან; *(შესაძლოა არ შეივსოს პირველად ავტორიზაციაზე)*
3. მოსწავლე სკოლისგან იღებს სათანადო კონსულტაციასა და მხარდაჭერას აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად;
4. სკოლა მოსწავლეს გონივრულ/კანონმდებლობით დადგენილ ვადებში უწევს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებების რეალიზებასთან დაკავშირებით;

5. სკოლა კანონმდებლობით დადგენილი წესით და სათანადო კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მეშვეობით უზრუნველყოფს დამატებითი/არაფორმალური აქტივობების წახალისებასა და მოსწავლეთა ინიციატივების მხარდაჭერას;
6. მოსწავლეთა/დაინტერესებულ მხარეთა უკუკავშირის საფუძველზე სკოლა აუმჯობესებს მოსწავლეთა მომსახურებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას აქვს მოსწავლის სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის ხელშეწყობი მექანიზმი;

სკოლას შემუშავებული და დამტკიცებული აქვს მოსწავლის ადაპტაციის წესი, რომელშიც გაწერილია მოსწავლის სკოლაში ადაპტაციის პრინციპები და მნიშვნელოვანი ფაქტორები. გათვალისწინებულია როგორც სსსმ საჭიროების მქონე მოსწავლეების, ისე მობილობით გადმოსული მოსწავლეებისა და უცხოენოვანი მოსწავლეების საჭიროებები. დოკუმენტი განსაზღვრავს წარმატებული ადაპტაციის ნიშნებს, დეზატაპტაციის ნიშნებს და დეზატაპტაციის პროცესისას განსახორციელებელ პროცესებს. სკოლამ წარმოადგინა დამრიგებლების პორტფოლიო, მათი სადამრიგებლო გეგმა, რეფლექსია და მოსწავლეთა დახასიათება. დოკუმენტის მიხედვით პროცესი არის კომპლექსური და ამ პროცესში ჩართულია სასკოლო საზოგადოების ყველა რგოლი.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

2. ----- არ ივსება პირველად ავტორიზაციაზე.

3. მოსწავლე სკოლისგან იღებს სათანადო კონსულტაციასა და მხარდაჭერას აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად.

სასკოლო სასწავლო გეგმაში გაწერილია დამრიგებლის მოვალეობები, სადაც მითითებულია, რომ დამრიგებელი ვალდებულია დაეხმაროს მოსწავლეს აკადემიური სირთულეების დაძლევაში. ვიზიტის დროს, სკოლამ აღნიშნა, რომ მოსწავლის საჭიროებებიდან გამომდინარე, მასწავლებელი დამატებით დროს უთმობს მოსწავლესთან მუშაობას, საჭიროებიდან გამომდინარე და ეს ხდება დამრიგებლის შუამავლობით, ან უშუალოდ მასწავლებლის გადაწყვეტილებით, რაც შეთანხმებულია დამრიგებელთან და მშობელთან. ასევე, იმ შემთხვევაში, თუ მოსწავლის ქულა იქნება 5-ზე ნაკლები, სკოლა უწევს კონსულტირებას იმ საგანში/საგნებში, რომლებშიც ჩანიშნულია საშემოდგომო გამოცდა.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

4. სკოლა მოსწავლეს გონივრულ/კანონმდებლობით დადგენილ ვადებში უწევს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებების რეალიზებასთან დაკავშირებით.

სკოლა მოსწავლეს უწევს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებების რეალიზებასთან დაკავშირებით. სასკოლო სასწავლო გეგმაში გაწერილი აქვს საშემოდგომო და ექსტერნის ფორმის გამოცდების ჩატარების ვადები. სკოლა ვალდებულია იღებს მოსწავლეს გაუწიოს კონსულტაცია ყველა იმ საგანში/საგნებში, რომლებშიც 5 ქულაზე ნაკლები აქვს. დამრიგებლის ფუნქციებში გაწერილია, რომ დამრიგებელი დახმარებას გაუწევს მოსწავლეს აკადემიური თუ ურთიერთობის მხრივ



წამოჭრილი პრობლემების მოგვარებაში. ადმინისტრაცია უზრუნველყოფს მოსწავლის მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის განცხადების საპასუხოდ, მოსწავლის აკადემიური მოსწრების შესახებ ინფორმაციის გაცემაზე. სკოლაში მოსწავლეთა აღრიცხვა და შეფასება წარმოებს ელექტრონული ჟურნალის მეშვეობით, რაც ხელმისაწვდომია ყველა მოსწავლისა თუ მშობლის/კანონიერი წარმომადგენლისთვის.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

5. სკოლა კანონმდებლობით დადგენილი წესით და სათანადო კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მეშვეობით უზრუნველყოფს დამატებითი/არაფორმალური აქტივობების წახალისებასა და მოსწავლეთა ინიციატივების მხარდაჭერას.

სკოლაში წახალისებულია მოსწავლეთა ინიციატივები და არაფორმალური განათლება. სკოლაში ხორციელდება პროექტები/აქტივობები, რომელიც ხელს უწყობს როგორც თანამშრომლობითი კულტურის განვითარებას, ისე მოსწავლეთა მრავალმხრივ განვითარებას.

სკოლაში აქტიურად მუშაობს მოსწავლეთა თვითმმართველობა. თვითმმართველობის ინიციატივით მონაწილეობენ სხვადასხვა პროექტებში და მათ მიერ მიღწეული შედეგები თვალსაჩინოა - სკოლამ გაიმარჯვა პროექტში „სუფთა გარემო“ და სკოლის ეზოსთვის შეიძინა ნაგვის ურნები. „მეცნიერებისა და დებატების“ პროექტის ფარგლებში შეიძინა ოვალური მაგიდა და მაგნიტური დაფა. პროექტის „ინგლისური მარტივად“ ფარგლებში, ბიბლიოთეკას გადაეცა წიგნები. სკოლაში ფუნქციონირებს ეკოკლუბი, სამოქალაქო კლუბი და ლიტერატურული კლუბი. სკოლამ მტკიცებულებებად წარმოადგინა აღნიშნული კლუბების წესდებები. გარდა ამისა, სკოლაში არსებობს დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული მოსწავლეთა წახალისებისა და ინიციატივების მხარდაჭერის მექანიზმი.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

6. მოსწავლეთა/დაინტერესებულ მხარეთა უკუკავშირის საფუძველზე სკოლა აუმაღლებს მოსწავლეთა მომსახურებას.

სკოლა აქტიურად თანამშრომლობს თემთან. სასკოლო ცხოვრებაში ჩართულები არიან მშობლები/კანონიერი წარმომადგენლები და მოსწავლეები. ადმინისტრაცია მოსწავლეთა თვითმმართველობის წარმომადგენელთან თანამშრომლობს და იზიარებს მათ შეხედულებებს. მშობლები/კანონიერი წარმომადგენლები, დამრიგებლის მეშვეობით, ან პირადად აცნობენ ადმინისტრაციას საკუთარ მოსაზრებებს, მომსახურების გაუმჯობესებასთან დაკავშირებით. ასევე, სკოლის მთავარ შესასვლელში დგას ყუთი, სადაც მშობლებს შეუძლიათ მოათავსონ საკუთარი წინადადებები, რომელსაც ადმინისტრაცია განიხილავს.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- მოსწავლეთა ადაპტაციის წესი;
- სასკოლო სასწავლო გეგმა;
- მოსწავლეთა მხარდაჭერისა და ინიციატივების წახალისების წესი;
- ცნობა ნაგვის ურნების შეძენაზე;
- ცნობა ოვალური მაგიდისა და მაგნიტური დაფის შეძენაზე;
- ცნობა ბიბლიოთეკისთვის წიგნების შეძენაზე;
- ეკოკლუბის დებულება;
- სამოქალაქო კლუბის დებულება
- ლიტერატურული კლუბის დებულება.

4.2.2. სკოლაში უზრუნველყოფილია კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება

1. კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება ხელმისაწვდომია მოსწავლეთათვის;
2. სკოლა მუდმივად აწვდის მოსწავლეებს/მათ კანონიერ წარმომადგენლებს განახლებულ და სანდო ინფორმაციას ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის დასრულების შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით;
(შესაძლოა არ შეივსოს პირველად ავტორიზაციაზე)
3. სკოლა მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების დაგეგმვის პროცესში ითვალისწინებს გაწეული მომსახურების შეფასების შედეგებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება ხელმისაწვდომია მოსწავლეთათვის;

სკოლაში კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება ხელმისაწვდომია მოსწავლეთათვის. სკოლა თანამშრომლობს კაჭრეთის მრავალპროფილურ კოლეჯ „აისთან“ და საქართველოს სამოქალაქო საზოგადოების განვითარების ასოციაციასთან (საგა). სკოლასა და აღნიშნულ ორგანიზაციებს შორის გაფორმებულია მემორანდუმი. გარდა ამისა, სადამრიგებლო პროგრამებისა და საგნობრივი პროექტების ფარგლებში, ხშირად იგეგმება და ხორციელდება კარიერასა და პროფესიულ ორიენტაციასთან დაკავშირებული აქტივობები.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

2. ----- არ ივსება პირველადი ავტორიზაციის დროს.

3. სკოლა მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების დაგეგმვის პროცესში ითვალისწინებს გაწეული მომსახურების შეფასების შედეგებს.



სკოლის ადმინისტრაცია აქტიურად თანამშრომლობს მოსწავლეთა თვითმმართველობასთან და ითვალისწინებს მოსწავლეთა სურვილებსა და საჭიროებებს. სკოლას შემუშავებული აქვს მოსწავლეთა ინიციატივების მხარდაჭერისა და წახალისების ფორმა, რაც ეხმარება მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების დაგეგმვის პროცესში. ადმინისტრაცია აქტიურად თანამშრომლობს სკოლაში მოქმედ სტრუქტურულ ერთეულებთან, რაც შედეგების გაანალიზებასა და შეფასებასაც მოიცავს. სკოლის შესასვლელში არის რჩევების ყუთი, რაც სასკოლო საზოგადოების წევრებს საშუალებას აძლევს, გაწეულ მომსახურებასთან დაკავშირებით საკუთარი აზრი გაუზიაროს სკოლის ადმინისტრაციას.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- მემორანდუმი კოლეჯთან „აისი“;
- მემორანდუმი „საგასთან“.
- მოსწავლეთათვის გადაცემული სიგელები.

4.2.3. სსსმ მოსწავლეთა მომსახურება ხორციელდება მათი საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით და შეესაბამება საქართველოს კანონმდებლობას

1. სკოლას შემუშავებული აქვს სსსმ მოსწავლესთან მუშაობის მექანიზმი;
2. სსსმ მოსწავლის წინსვლისა და განვითარების მხარდაჭერა ეფუძნება სასკოლო საზოგადოების ჩართულობისა და თანამშრომლობის პრინციპებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას შემუშავებული აქვს სსსმ მოსწავლესთან მუშაობის მექანიზმი;

სკოლას ჰყავს ორი სპეციალური მასწავლებელი, რომლებიც აქტიურად თანამშრომლობენ ადმინისტრაციასთან და პედაგოგებთან. მულტიდისციპლინური გუნდის დასკვნის საფუძველზე, სკოლაში თითოეული მოსწავლისთვის შემუშავებულია ინდივიდუალური სასწავლო გეგმა, რომელიც ითვალისწინებს მოსწავლის ძლიერ და სუსტ მხარეებს, ინტერესებს და შესაძლებლობებს. ინდივიდუალური სასწავლო გეგმა იქმნება მოსწავლის საჭიროებების იდენტიფიცირებიდან 1 თვის ვადაში, ხოლო უკვე დადგენილი საჭიროების შემთხვევაში 2 კვირის ვადაში და მტკიცდება პედაგოგიური საბჭოს მიერ .

ასევე სკოლას აქვს ინტერვენციის გეგმა, რომელსაც ადგენს სპეციალური მასწავლებელი თითოეული მოსწავლისათვის, სადაც გაწერილია მოსწავლისთვის შესაბამისი აქტივობები და რესურსები. ასახავს შესაბამისი კლასის დამთავრებისთვის მოსალოდნელ სასწავლო შედეგებს, მათ მისაღწევად განსაზღვრულ სწავლების სტრატეგიასა და დამატებით საშუალებებს/ღონისძიებებს, შესაბამისი სასწავლო გარემოს შესაქმნელად გასატარებელ ზომებს.

სკოლაში არსებობს ისგ ჯგუფი, რომელის წევრებიც არიან: საგნის მასწავლებლები, მშობელი, სპეციალური მასწავლებელი, კლასის დამრიგებელი .

სკოლაში შექმნილია ინკლუზიური განათლების შიდა მონიტორინგის ჯგუფი, რომელიც ახორციელებს შიდა მონიტორინგს სასწავლო წლის განმავლობაში არანაკლებ ერთისა და დასკვნას წარუდგენს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს.

სკოლის შესასვლელში არის პანდუსი, სართულებს შორის გადაადგილება შესაძლებელია ლიფტით და არის სპეციალური საჭიროების მქონე პირთათვის საპირფარეშო. მირზაანის კორპუსის შესასვლელში არის პანდუსი, პირველ სართულზე განთავსებულია სპეციალური საჭიროების მქონე პირთათვის საპირფარეშო, მაგრამ არ არის ლიფტი, ან მეორე სართულზე ასასვლელი პანდუსი.

რესურს ოთახში არის მრავალფეროვანი აქტივობებისთვის საჭირო რესურსი.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

2. სსსმ მოსწავლის წინსვლისა და განვითარების მხარდაჭერა ეფუძნება სასკოლო საზოგადოების ჩართულობისა და თანამშრომლობის პრინციპებს.

